27
1958

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

4

აპრილი

სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
„ცოდნა"
თბილისი—1958

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 144

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი
1958 წლის 19 თებერვალი

საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სპორტსკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საქმის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ

აღვნიშნავ, რომ საქართველოს სსრ როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე სპორტულ სკოლებს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დარგში მოპოვებული წარმატებების მიუხედავად, ჯერ კიდევ აქვთ სერიოზული ნაკლოვანებები.

ფიზიკური აღზრდის საქმე სკოლების ერთ ნაწილში ჯეროვან სიმაღლეზე არ არის დაყენებული; არადამაკმაყოფილებლადაა გაშლილი როგორც სასწავლო, ისე კლასგარეშე მუშაობა. მასწავლებელთა ნაწილი გაკვეთილს ვერ ატარებს სათანადო პედაგოგიურ და სპორტულ დონეზე.

სკოლების დიდ უმრავლესობას არ გააჩნია საჭირო სპორტული ინვენტარი და ბაზები. ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები არ ეხმარებიან სკოლებს; ისინი ხშირად გვერდს უვლიან მთავრობის დადგენილებას სკოლებისათვის დღის საათებში სპორტული ბაზების უფასოდ გადაცემის შესახებ.

ცუდად არის დაყენებული ფიზკულტურაში ჩაბმულ ბავშვთა სამედიცინო მომსახურება.

სკოლის ბევრი დირექტორი ვერ ერკვევა ფიზკულტურის მასწავლებლების მუშაობაში და არ ეხმარება მას, არ უქმნის პირობებს გაკვეთილის ნორმალურად ჩატარებისათვის.

მიუხედავად არა ერთი გაფრთხილებისა, განათლების განყოფილებათა გამგეები, სკოლების დირექტორები და ფიზკულტურის მასწავლებლები ნაკლებად გრძნობენ პასუხისმგებლობას მოსწავლეთა მიერ საპროგრამო ნორმატივების ჩაბარების საქმეში.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საქმის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილების განხორციელების უზრუნველსაყოფად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. საყვარელიძე) და სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებამ (ამხ. დ. ჯავახია):

ა) შეისწავლონ საკითხი ფიზკულტურაში დამატებითი თითო კვირეული საათის შემოღების შესაძლებლობის შესახებ V—X კლასებში, ა/წლის 1 სექტემბრიდან, პირველყოვლისა იმ სკოლებში, რომელთაც სათანადო სპორტული ბაზა მოეპოვებათ;

ბ) ვაითვალისწინონ დაწყებითი, შვიდწლიანი და ს შუალო სკოლების სასწავლო გეგმებში ყოველწლიურად ექვსი დღე მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად, სპორტულ ღონისძიებათა კალენდართან შეფარდებით;

გ) დაავალონ სკოლის დირექტორებს უზრუნველყონ სკოლაში მეცადინეობამდე „დაჭურვის ტიპის“ ვარჯიშების სისტემატურად ჩატარება.

2. განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალ სკოლებსა, სასწავლებლებსა და დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდის საქმისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი დაეკისროს ფიზიკური აღზრდის მეთოდურ კაბინეტს.

ფიზიკური აღზრდის მეთოდური კაბინეტის შტატი გაიზარდოს სამი მწვრთნელ-მეთოდისტით, განათლების სამინისტროს საშტატო ერთეულების რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის, ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის განათლების განყოფილებების ხაზით ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დარგში სკოლებისადმი ხელმძღვანელობა დაევალოს ფიზიკური აღზრდის მეთოდისტებს.

განათლების სამინისტროს ცენტრალურმა სასპორტო სკოლამ განათლების ორგანოებთან იყოლიოს უფროსი მწვრთნელები, რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წევრთა წვრთნის უზრუნველსაყოფად და ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებებთან შეიქმნას მოსწავლეთა ფიზიკური

აღზრდისა და სპორტის საბჭოები, რომლებიც დახმარებას გაუწევენ განათლების ორგანოებს მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის უკეთ დაყენებისა და მოსწავლეთა შორის სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების საქმეში.

ამასთან დაკავშირებით ფიზიკური აღზრდის მეთოდურმა კაბინეტმა, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან და ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტთან შეთანხმებით, შეადგინოს დებულება საბჭოების მუშაობის შესახებ.

5. განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. გ. მერკვილაძე):

ა) სისტემატურად შეამოწმოს განათლების სამინისტროს ყველა ტიპის სასწავლებელსა და სკოლისგარეშე დაწესებულებაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საქმის მდგომარეობა; საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის სამმართველოებთან ერთად, გამოიტანოს საკითხი კოლეგიაზე განსახილველად;

ბ) მოამზადოს და წარმოადგინოს კოლეგიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად დებულება სკოლაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შესახებ;

გ) მომავალი სასწავლო წლისათვის სპეციალიზებული სკოლებისათვის მოამზადოს პროგრამები, აგრეთვე სახელმძღვანელო მასალები მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფრენბურთში, ტანვარჯიშში, ხოლო 1959 წლისათვის სოფლის სკოლების პროგრამა ქართულ ხალხურ სპორტულ სახეობებში;

დ) დასახოს და გაატაროს საჭირო ღონისძიებანი მოსწავლეთა X სპარტაკიადისათვის რაიონებში სამზადისის გასაშლელად, რისთვისაც 15 მარტამდე დაუშვას ადგილებზე სპარტაკიადის დებულება პროგრამით;

ე) აღრიცხოს განათლების სამინისტროს სასწავლებლების სასპორტო-მატერიალური ბაზები, ჩაატაროს ბავშვთა სპორტული სკოლების პასპორტიზაცია, დარბაზების, მოედნებისა და სხვა ნაგებობათა დოკუმენტაციის შედგენით, სპორტული სპეციალიზაციის სწორი დაგეგმვისა და ქონების დაცვის მიზნით;

ვ) შეამოწმოს კადრებთან სისტემატური მუშაობის მდგომარეობა და დასახოს ღონისძიებანი ფიზკულტურის მასწავლებელთა სპორტული კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

ზ) განათლების სამინისტროს კადრების უანყოფილებასა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზკულტუ-

რის და სპორტის კომიტეტთან ერთად მ/წლის 20 აპრილამდე წარმოადგინოს ღონისძიებები სკოლაში მომუშავე მასწავლებელ-მწვრთნელთა კადრების შემადგენლობის გაუმჯობესების შესახებ;

თ) საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით უხელმძღვანელოს 1958 წლის ზაფხულში სასპორტო-გამაჯანსაღებელი ბანაკების მოწყობის საქმეს (სპორტის სხვადასხვა სახეობაში), უზრუნველყოს 900 კაცის განაწილება სახეების მიხედვით და ბანაკების დაკომპლექტება შესაფერისი კადრებით;

ი) მოსთხოვოს ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებს მოსწავლეთა შორის სპორტული მუშაობის სწორ საფუძვლებზე წარმოება; ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად დაუგეგმოს მათ მოსწავლეთაგან სპორტული კადრების მომზადების პროფილი.

6. განათლების განყოფილებების გამგეებმა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ფიზიკური აღზრდის მასწავლებლისა და სპორტული სკოლების მწვრთნელებს კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში, შეუნარჩუნონ მასწავლებლებს დამატებითი შვებულების უფლება, საშუალო ხელფასი და მასწავლებელთათვის არსებული სხვა შეღავათები.

7. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ:

ა) კაპიტალური მშენებლობის 1958 წლის გეგმაში გაითვალისწინოს თბილისის 23-ე სკოლასთან სასპორტო დარბაზის მიშენება და ორჯონიკიძის რაიონში ტანვარჯიშული დარბაზის დამთავრება;

ბ) 1959—1965 წლების შვიდწლიან პერსპექტიულ გეგმაში გაითვალისწინოს სკოლებისათვის სასპორტო ბაზების მშენებლობა;

გ) მიიღოს ზომები, რათა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიაღმასკომების მიერ ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების დაგეგმვისა და პროექტირებისას გათვალისწინებულ იქნას ბავშვებისა ახალგაზრდობის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისათვის სპორტდარბაზების, ღია აუზებისა და კომპლექსური ბაქნების მშენებლობა და თავისუფალი ადგილების დატოვება მომავალში სპორტულ ნაგებობათა მოსაწყობად;

დ) თვალყური ადევნოს ქ. ქ. ბათუმში, სოხუმში, ფოთში, ქუთაისში, მცხეთასა და დუშეთში აღმასკომების მიერ ნიჩბოს-

ნობის უბრალო ტიპის სადგურებისა და ტირების მშენებლობისა და მოწყობის საქმეს.

8. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაშაძე)

ა) გაატაროს საჭირო ღონისძიებანი თითოეულ მოსწავლეზე დამტკიცებულ 4 მანეთის ანგარიშის საფუძველზე დამატებით 674.0 ათასი მანეთის გამოძებნის შესახებ მასობრივი სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად;

ბ) ფიზიკური აღზრდის მეთოდკაბინეტთან ერთად დაამუშაოს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად სკოლების სპორტული ინვენტარის სატაბელო სია. ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებებმა უზრუნველყონ სკოლები ამ სიების შესაბამისად საჭირო სპორტული მოწყობილობით;

გ) ფიზიკური აღზრდის მეთოდურ კაბინეტთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტთან და განათლების მუშაკთა, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად დაამუშაოს დადგენილების პროექტი სასპორტო სკოლების მწვრთნელების საშტატო-საგანაკვეთო სისტემაზე გადაყვანის შესახებ (სპორტული სკოლების 1958 წლის ხელფასის ფონდის ფარგლებში).

9. საპროგრამო მასალის უკეთ ათვისებისა და სკოლის შესაძლებლობის ფართოდ გამოყენებისათვის მიღებულ იქნას საკავშირო ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის წინადადება ფიზკულტურის გაკვეთილებისა და კლასგარეშე მუშაობის პროგრამის სასპორტო სახეების მიხედვით სპეციალიზაციის შესახებ.

გამოიყოს ქ. თბილისში ტანვარჯიშული პროგრამით მუშაობისათვის 14 სკოლა, მძლეოსნობის პროგრამით—20, კალათბურთის პროგრამით—6 და ცურვის პროგრამით—1 სკოლა.

განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა შეისწავლონ თავიანთი სკოლების შესაძლებლობანი სპეციალურ პროგრამებზე გადასასვლელად და ახალი სასწავლო წლისათვის წარმოადგინონ მოსაზრებანი რაიონის სკოლების ნაწილში ფიზკულტურის სწავლების სპორტული სპეციალიზაციის შესახებ.

10. განათლების ორგანოებმა და სკოლის დირექტორებმა მიიღონ გადამწყვეტი ღონისძიებანი სკოლებში ფიზკულტურის სწავლების გაუმჯობესების მიზნით სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

11. სასკოლო, რაიონული (საქალაქო) და რესპუბლიკური სპორტული ღონისძიებების სანიმუშო კალენდარი დამტკიცდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული კალენდარის საფუძველზე განათლების განყოფილებებმა და სკოლის დირექტორებმა დაუყოვნებლივ შეიმუშაონ თავისი რაიონისა და სკოლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი.

12. განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბჭოს შემადგენლობა დამტკიცდეს (სია თან ერთვის).

13. ფიზიკური აღზრდის მეთოდურმა კაბინეტებმა სისტემატურად შეამოწმოს აღნიშნული ბრძანების შესრულება.

საქართველოს სსრ განათლების მ ი ნ ი ს ტ რ ი გ. ჯიბლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბჭო

1. თ. ა. ზახაშვილი—თავმჯდომარე
2. ვ. ა. სამსონაძე—მოადგილე
3. გ. ნ. მერკვილაძე—მოადგილე

წევრები:

4. ბ. ფერაძე—საშ. სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე
5. თ. ნაცვლიშვილი—საქართველოს ალკკ ც.კ. განყოფილების გამგე
6. ა. ა. ორახელაშვილი—საშ. სკოლების სამმართველოს ინსპექტორი
7. ნ. სეფაშვილი—ფ/ა მეთოდკაბინეტის უფროსი მეთოდისტი
8. ნ. სოხაძე—თბილისის განათლების განყოფილების გამგის მოადგილე
9. ნ. კაპლუნი—ფიზკულტურის მეთოდკაბინეტის მეთოდისტი
10. დ. ფავლენიშვილი—სპორტული სკოლის დირექტორი
11. მ. იმნაძე—სპორტული სკოლის დირექტორი
12. ი. ბაცელაშვილი—ფიზკულტურის კომიტეტის სასკოლო განყ. გამგე
13. ზ. კოვზირიძე—პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კაბინეტის გამგე
14. ივ. ჭანტურია—საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფრ. მოადგილე
15. ა. ღადუა—კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი
16. ს. არველაძე—მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილების უფროსი
17. ი. კვაჭაძე—კადრების განყოფილების უფროსი

18. მ. კინწურაშვილი—სამხედრო კომისარიატის წარმომადგენელი.

20. ა. რატია—მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის თ. კ. კაბინეტის გამგე.

20. ა. გაბათაშვილი—ქ. თბილისის განათლების განყოფილების ინსპექტორი.

საბჭოს პრეზიდიუმი

1. თ. ა. ზახაშვილი—თავმჯდომარე
2. ვ. ა. სამსონაძე—მოადგილე
3. გ. ნ. მერკვილაძე—მოადგილე
4. ა. ა. ორახელაშვილი—წევრი
5. ნ. კ. სოხაძე—წევრი
6. ნ. ნაცვლიშვილი—წევრი
7. ნ. გ. სეფაშვილი—(მდივანი)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 151/69

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისადმი

1958 წლის 22 თებერვალი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტულ სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის მდგომარეობის შესახებ

აღვნიშნავთ, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტული სკოლების მიერ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული დონის ამაღლების საქმეში ჩატარებულია გარკვეული მუშაობა. 1957 წელს რესპუბლიკაში ჩატარებულ სასკოლო სპორტულ შეჯიბრებების მონაწილეთა რიცხვი 103.000 მონაწილით გაიზარდა. ორგანიზებულად ჩატარდა მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა და აგრეთვე საკავშირო სპარტაკიადისადმი მზადების წინა პერიოდი.

ყველა ამ ღონისძიებამ ხელი შეუწყო საქართველოს მოსწავლეთა სპორტული დელეგაციის წარმატებას მოსწავლეთა მეოთხე საკავშირო სპარტაკიადაზე.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სასპორტო სკოლებს, მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის საქმეში ჯერ კიდევ გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებები.

რესპუბლიკის რიგ სკოლებში ფიზიკური კულტურის მასწავლებლები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ.

სუსტად მუშაობს რაიონის ბავშვთა სპორტული სკოლების ნა-

წილი. ბავშვთა სპორტულ სკოლებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ნიჭიერი მოსწავლე სპორტსმენების გამოვლინება. მწვრთნელთა საკმაო ნაწილი სპორტული თვალსაზრისით მოუმზადებელია, ხშირ შემთხვევაში შეთავსებით გადატვირთულია, რაც უარყოფითად მოქმედობს სასპორტო სკოლების მუშაობაზე.

სკოლების სპორტულ ბაზებს სჭირდება სათანადო რემონტი და კეთილმოწყობა, ხოლო რიგ სკოლებს სრულიად არ გააჩნიათ სპორტული ბაზები. ბევრი სკოლის დირექტორი არ ზრუნავს სასწავლო-სპორტული იარაღების შეძენაზე და არ ღებულობს ზომებს, რათა საკუთარი ძალებით მოაწყოს სპორტული ბაზები.

ქ. ბათუმის მე-5 საშუალო სკოლაში (დირექტორი დ. მამფორია, ფიზკულტურის მასწავლებელი ი. ჭანტურიშვილი) საპროგრამო მასალას მთლიანად ვერ გადიან, არ გააჩნიათ კლასგარეშე სპორტული მუშაობის გეგმა, სპორტულ-მასობრივ ღონისძიებათა კალენდარი. ხშირ შემთხვევაში ამ სკოლის მასწავლებლები გაკვეთილებს უგეგმოდ ატარებენ. სკოლაში დღემდე ჩამოუყალიბებელია სპორტული სექციები.

ქ. ბათუმის მე-5, მე-6, მე-7, 21-ე სკოლებში 1957 წელს არ მომზადებულა არც ერთი იმშთ-ს ნიშნოსანი, ხოლო მე-7, მე-16 საშუალო სკოლებში მშთ-ს ნიშნოსანი. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული თანრიგოსანთა მომზადება მე-19 და 21-ე სკოლებში.

—

თელავის რუსულ საშუალო სკოლაში (დირექტორი ბექიშვილი, ფიზკულტურის მასწავლებლები ი. მეჭურჭლიშვილი და ა. გერასიმოვა) 1957 წლის განმავლობაში არც ერთი იმშთ და მშთ ნიშნოსანი არ მომზადებულა, ხოლო ამავე რაიონის 17 საშუალო და 7-წლიან სკოლაში არ მომზადებულა არც ერთი ნიშნოსანი ღა თანრიგოსანი.

ქობულეთის პირველ საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. ყაჭეიშვილი, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი ი. ამანათიშვილი) მე-5 კლასში მასწავლებელი ჩახუნაშვილი ფიზიკური კულტურის გაკვეთილზე არღვევს სამწყობრო წესდებით გათვალისწინებულ ძახილებს. ნაკლებ ყურადღებას აქცევს ვარჯიშების შესრულების სიზუსტეს, მოსამზადებელი ვარჯიშები მე-5 კლასისათვის შერჩეული აქვს დაუძლეველი მასალისაგან (მშთ I საფეხურის ვარჯიშები). მოსწავლეები გაკვეთილზე უხალისოდ მოქმედებენ. როგორც მას-

წავლებელი, ასევე მოსწავლეები მეცადინეობაზე სპორტული ტანსაცმელის გარეშე ცხადდებიან.

ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ამავე სკოლის მე-5[2] კლასში.

ქ. სოხუმში (განათლების განყოფილების გამგე ამხ. ვ. ხუბულავა) ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა მეთოდური მეცადინეობა იშვიათად ტარდება და ისიც სასწავლო გეგმისა და პროგრამის გარეშე. ფიზიკური კულტურის სწავლების საკითხებზე ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებული დადგენილებების შესრულების შემოწმება არ ტარდება. ქალაქის განათლების განყოფილება არ ისმენს სკოლის დირექტორების ანგარიშს ფიზკულტურული მუშაობის შესახებ. ხოლო სკოლების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე იშვიათად ისმენენ საკითხებს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

ქ. სოხუმის მე-3 რუსულ საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. ტარბა) კლასგარეშე სპორტული მუშაობა ჩაშლილია. ფიზკულტურის მასწავლებელი ვ. ბიშკევიუსი გაკვეთილების გეგმას არ ადგენს და გაკვეთილებს ატარებს დაბალ პედაგოგიურ დონეზე, მშთ ნიშანზე ჩაბარებისა და თანრიგოსანთა მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტები სკოლას არ გააჩნია. აღნიშნულ სკოლაში ფიზკულტურული მუშაობა ადმინისტრაციისა და ქალაქის განათლების განყოფილების კონტროლის გარეშეა მიტოვებული.

გურჯაანის რაიონის სოფ. ვეჯინის საშუალო სკოლაში (დირექტორი—შ. გაბიტაშვილი, ფიზიკური კულტურის მასწავლებლები: ვ. ჭანყოშვილი, ნ. ყალაბეგიშვილი), მიუხედავად იმისა, რომ სკოლას კარგი სასპორტო დარბაზი და დიდი ეზო გააჩნია, ფიზკულტურული მუშაობა და განსაკუთრებით კლასგარეშე სპორტული მუშაობა ჩაშლილია. ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს (თავმჯდომარე ნ. ყალაბეგიშვილი) არ გააჩნია სამუშაო გეგმა. სპორტულ-მასობრივ ღონისძიებათა კალენდარი, არ ტარდება საბჭოს სხდომები და შინასასკოლო შეჯიბრებები,, ჩაშლილია **მშთ** ნიშნოსნების, სპორტსმენ თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების (ფიზორგები, მსაჯები) მომზადების საქმე. არ აქვთ სკოლის რეკორდების ცხრილი. ფიზკულტურის გაკვეთილები ტარდება მოუმზადებლად და უხარისხოდ. მასწავლებლები გაკვეთილებს ატარებენ გეგმის გარეშე, მოსწავლეები ცხადდებიან ყოველდღიურ ტანსაცმელში.

მასწავლებელ ნ. ყალაბეგიშვილს გაკვეთილებზე ხშირად ერღვევა დისციპლინა, პედსაბჭოს სხდომებზე არც ერთხელ არ არის მოსმენილი მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის საკითხები.

ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. ავალიშვილი, ფიზიკური კულტურის მასწავლებლები—ელიზბარაშვილი და ტურაშვილი).

ქ. თბილისის ლენინის რაიონის სკოლების უმრავლესობაში **იმშთ** და **მშთ** ნიშანზე ჩამბარებელთა რიცხვი დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა საერთო რაოდენობიდან არ აღემატება 25%-ს, ხოლო მე-13 საშ. სკოლაში (დირექტორი—გ. კვაჭაძე, ფიზკულტურის მასწავლებელი—ო. ხარაზიშვილი) და მე-16 შვიდწლიან სკოლაში (დირექტორი—ვ. მაჭავარიანი, ფიზკულტურის მასწავლებელი—ი. ბარამიშვილი) თანრიგოსანთა მომზადების საკითხი უყურადღებოდაა მიტოვებული.

ოქტომბრის რაიონის 30-ე საშუალო სკოლაში (ფიზკულტურის მასწავლებელი კანჯარაშვილი), 26 კომისრების რაიონის 89-ე საშ. სკოლაში (ფიზკულტურის მასწავლებელი ხომერიკი), 94-ე საშუალო სკოლაში (ფიზკულუტურის მასწავლებელი—ბაირამოვი), 99-ე 7 წლიან სკოლაში (ფიზკულტურის მასწავლებელი—ი. კონსტანტინოვი), კიროვის რაიონის 75-ე საშ. სკოლაში (ფიზკულტურის მასწავლებელი—ლონდარიძე) და სტალინის რაიონის № 28 და 101 სკოლებში გასულ სასწავლო წლის განმავლობაში არ მომზადებულა არც იმშთ ნიშნოსანი და არც სპორტსმენ-თანრიგოსანი.

ხაშურის რაიონის ზოგიერთ სკოლაში ადგილი აქვს თვალისახვევის შემთხვევებს **მშთ** ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების საქმეში, ასე მაგ. დიდი თხილნარის 7-წლიანი სკოლის დირექტორმა გ. ი. გოგოლაძემ და ფიზკულტურის მასწავლებელმა—ვ. ა. გვერდწითელმა მშთ II საფეხურის ნიშანზე დასაჯილდოებლად წარადგინეს—მე-5-6 კლასების 6 მოსწავლე, ხოლო ფლევის 7-წლიანი სკოლის დირექტორმა რ. მ. ბუხრიკიძემ და ფიზკულტურის მასწავლებელმა ა. მ. ხაჩიძემ ფიქტიური ოქმების შედგენით, სანორმატივო შედეგების აღუნიშნავად, წარადგინეს სათანრიგო ნორმების ჩაბარების ოქმი.

დაბალ დონეზე ტარდება ფიზიკური კულტურის გაკვეთილები კაჭრეთის რაიონის სოფ. კაჭრეთისა (სკოლის დირექტორი ა. თევ-დორაშვილი, ფიზკულტურის მასწავლებლები ა. გოგილაშვილი, ვ. ბაიდოშვილი, ნ. ჯიქურაშვილი) და სოფელ კაკაბეთის საშუალო სკოლებში (სკოლის დირექტორი გრ. მერკვილაძე, ფიზკულტურის (მასწავლებელი მჭედლიშვილი). რაიონის სკოლებს არ გააჩნიათ მოს-წავლეთა სპორტული ღონისძიებების კალენდარი, იშვიათად ტარ-დება, როგორც შინასასკოლო, ასევე სკოლებს შორის შეჯიბრებები, არ სრულდება განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ბრძა-ნებები.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სასპორტო ბაზების მხრივ კაჭრეთის, ხაშურის, ქუთაისის, გურჯაანის, ქ. თბილისის — ოქტომბრის, ლენინის, სტალინის და სხვა რაიონების სკოლებში.

რაიონის ბავშვთა სასპორტო სკოლების დაკომპლექტება არა-სწორად მიმდინარეობს, ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული სას-წავლო-საწვრთნო მუშაობა, მოსწავლეთა მიმართ სამედიცინო კონ-ტროლი, ადგილი აქვს მწვრთნელების მიერ გაკვეთილების უმიზე-ზოდ გაცდენის შემთხვევებს და სხვა.

ქ. თბილისის კიროვის რაიონის სასპორტო სკოლაში მიღებისას მოსწავლეები არ ავსებენ სპეციალურ ანკეტას, არ აქვთ მშობლების ნებართვა, არ არის სკოლის დირექტორის დასტური, ექიმის დასკვნა. ადგილი აქვს ზოგიერთი მწვრთნელის მიერ მეცადინეობის ჩაშლას არასაპატიო მიზეზით.

წულუკიძის რაიონის სასპორტო სკოლაში მეცადინეობა ტარდება უვარგის იარაღებზე, რაც მოსალოდნელი ხიფათის წინაშე აყენებს მოსწავლეებს.

გურჯაანის რაიონის სასპორტო სკოლაში მოსწავლეთა დენადო-ბას აქვს ადგილი. თითქმის ყოველწლიურად ახალ-ახალი მოსწავლე-ებია გაერთიანებული ჯგუფებში.

ბავშვთა სასპორტო სკოლების მწვრთნელთა უმრავლესობა წლე-ბის განმავლობაში არ ამზადებს სპორტსმენ-თანრიგოსნებს, ასე მა-გალითად: ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის სასპორტო სკოლის მწვრთნელებს — გ. ვაციტაძეს (მძლეოსნობა), ბ. სოფრომაძეს (მძლეოსნობა), ზ. მუხიაშვილს (თავისუფალი ჭიდაობა), თბილისის კალინინის რაიონის სასპორტო სკოლის მწვრთნელებს — გ. ჩხეიძეს (სპ. ტანვარჯიში), გ. ჟორჟოლიანს (სპ. ტანვარჯიში), გ. შარაშიძეს

(ქალათბურთი), ე. გაგუას (მძლეოსნობა), სტალინის სახელობის რაიონის ბავშვთა სასპორტო სკოლის მწვრთნელებს: დ. ქართველიშვილს (მძლეოსნობა), ვ. ბარათაშვილს (სპ. ტანვარჯიში), ი. ფავლენიშვილს (სპ. ტანვარჯიში), კ. ზაალიშვილს (სპ. ტანვარჯიში) და სხვებს 1957 წ. განმავლობაში არ მოუმზადებიათ არც ერთი მოსწავლე თანრიგოსანი.

ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი აქვს სიღნაღის, მახარაძის, სამტრედიის, წულუკიძის და სხვა რაიონის სასპორტო სკოლებში.

რესპუბლიკის 39 ბავშვთა სასპორტო სკოლაში მოქმედ 193 სასწავლო ჯგუფში, გასულ წელს მძლეოსნობის არც ერთ სახეობაში არ მომზადებულა პირველი თარნიგოსანი სპორტსმენი.

განათლების განყოფილებები და ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტები სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან ფიზკულტურის განვითარების საკითხებზე ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებული დადგენილებების და ბრძანებების შესრულების შემოწმებას.

არასაკმარისადაა მომარაგებული სკოლები ფიზკულტურისა და სპორტის დარგში მეთოდური და სხვა სახის სახელმძღვანელოებით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდური კაბინეტი რეგულარულად არ ამოწმებს ბავშვთა სასპორტო სკოლების მუშაობას და არ უწევს ქმედით დახმარებას სასპორტო სკოლებში მომუშავე მწვრთნელებს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებამ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყვეს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა სასპორტო სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტულ მუშაობაზე ხელმძღვანელობისა და დახმარების გაუმჯობესება.

რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოები, საოლქო, საქალაქო და რაიონული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის საქმეს.

სასპორტო საზოგადოების უმრავლესობა სკოლებში არ ატარებს სათანადო საშეფო მუშაობას, არ უწევს დახმარებას სკოლებსა და სასპორტო სკოლებს სპორტული ბაზების დღის საათებში უფასოდ გამოყოფაში და სხვა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტულ სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, საოლქო, საქალაქო და რაიონული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეებმა:

ა) მიმდინარე წლის 25 მარტამდე შეამოწმონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სასპორტო სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის მდგომარეობა, დასახონ და გაატარონ მუშაობის გასაუმჯობესებლად სათანადო ღონისძიებანი;

ბ) სამინისტროს კოლეგიების, განათლების განყოფილებების სახალხო განათლების საბჭოებისა და კომიტეტების სხდომებზე სისტემატურად განიხილონ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის საკითხები, პრაქტიკაში შემოიღონ სამინისტროს კოლეგიის სხდომებზე განათლების განყოფილების გამგეების, ხოლო განათლების განყოფილების საბჭოების სხდომებზე სკოლების დირექტორების მოხსენებები;

გ) სისტემატური დახმარება აღმოუჩინონ სკოლებს სპორტული ბაზების მოწყობაში, სასპორტო მოედნების მოსაწყობად მიწის ნაკვეთებისა და სასწავლო სპორტული ინვენტარის შესაძენად სათანადო თანხების გამოყოფაში;

დ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმისა და პროგრამის მიხედვით მოაწესრიგონ ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა მეთოდური მეცადინეობა;

ე) ა/წ 25 აპრილამდე შეამოწმონ ფიზიკური კულტურის იმ მასწავლებლების მუშაობა, რომლებიც დაბალ პედაგოგიურ დონეზე ატარებენ გაკვეთილებს, არ ასრულებენ საპროგრამო მოთხოვნებს, არ ამზადებენ **მშთ** და **იმშთ** ნიშნოსნებსა და თანრიგოსნებს, და სათანადოდ არ წარმართავენ სასკოლო ფიზიკური კულტურის კოლექტივების მუშაობას. შემოწმების შედეგები შრომის დავის კომისიის ოქმის დართვით, განათლების განყოფილების გამგისა და ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის ხელმოწერით, გადმოგზავნონ განათლების სამინისტროში არა უგვიანეს 10 მაისისა;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას, არ დაუშვან ფიზიკური კულტურის გაკვეთილების ხარჯზე სხვა საგნების ჩატარება, ხოლო იმ მასწავლებლების მიმართ, რომლებიც ფიზიკური კულტურის გაკვეთილებს ვერ ატარებენ ინვალიდობის, მოხუცებულობის ან საგნის უცოდინარობის გამო, გაატარონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1951 წლის 6 ივნისის ბრძანება № 1791.

2. საშუალო და შვიდწლიანი სკოლების დირექტორებმა:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ფიზიკური კულტურის პროგრამის შესრულებას, მიაღწიონ ფიზკულტურის გაკვეთილის ხარისხისა და კლასგარეშე სპორტული მუშაობის გაუმჯობესებას;

ბ) ჩამოაყალიბონ და ორგანიზაციულად განამტკიცონ სასკოლო ფიზიკური კულტურის კოლექტივები, სპორტულ სექციებში კლასგარეშე მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებით უზრუნველყონ მე-7 კლასებში **იმშთ** ნორმაზე ,ხოლო მე-10 კლასებში **მშთ** I საფეხურზე ფიზიკურად ჯანმრთელ მოსწავლეთა 100% მომზადება;

გ) 1957 წლის 20 მარტამდე სრულ წესრიგში მოიყვანონ სასპორტო მოედნები, მძლეოსნური სექტორები (სარბენი ბილიკები, სახტომი ორმოები, სატყორცნი რკალები), სადაც სპორტული დარბაზები არ არის, გამოყონ ფიზიკური კულტურის გაკვეთილის ჩასატარებლად სასპორტო ოთახი, უზრუნველჰყონ ისინი საჭირო სასპორტო ინვენტარით. სკოლის სახელოსნოებში მოსწავლეთა ძალებით დაამზადონ საჭირო სპორტული იარაღები (სატანვარჯიშო სკამები, კედელი, კიბე, ჯოხები, ბუმი, ლატანი ცოცვისათვის, დირე, სახტომი დგამები, სახტომი ბოგი და სხვა);

დ) სათანადო კონტროლი დააწესონ სკოლის ექიმის მუშაობაზე და ფიზიკურ კულტურაში მოსწავლეთა მეცადინეობისას ზუსტად დაიცვან მოქმედი ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ე) დაავალონ ფიზიკური კულტურის მასწავლებლებს მეცადინეობის დაწყებამდე სისტემატურად ჩაატარონ ტანვარჯიში და მოაწესრიგონ ფიზკულტურული ღონისძიებანი სასწავლო დღის რეჟიმში;

ვ) რაიონის (ქალაქის) მოსწავლეთა მასობრივ-სპორტული კალენდარის შესაბამისად შეადგინონ სასკოლო სპორტული კალენდარი და უზრუნველჰყონ კალენდარით გათვალისწინებული სპორტული ღონისძიებების ჩატარება;

ზ) პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე სისტემატურად მოისმინონ საკითხი მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (გ. საყვარელიძე), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის განყოფილებამ (ი. ბაცელაშვილი) და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდურმა კაბინეტმა (გ. მერკვილაძე):

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი რესპუბლიკის სკოლების მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის;

ბ) ა/წლის 15 თებერვლისათვის შეადგინონ და ადგილებზე დაუშვან მოსწავლეთა რესპუბლიკური მასობრივ-სპორტული შეჯიბრების კალენდარი;

გ) სასწავლო და კლასგარეშე მასობრივ-სპორტული მუშაობის გაშლის მიზნით იმ რაიონებისათვის, სადაც არ არის ბავშვთა სასპორტო სკოლები, შემოიღონ ზონალური შეჯიბრებების ჩატარება სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სახეებში;

დ) სისტემატურად შეამოწმონ სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის მდგომარეობა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას, ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ სკოლებს და საჭირო შემთხვევაში საკითხი გამოიტანონ კოლეგიისა და კომიტეტის სხდომებზე;

ე) უზრუნველჰყონ დაწყებითი, შვიდწლიანი, საშუალო სკოლები და ბავშვთა სპორტული სკოლები საჭირო პროგრამებით და მეთოდური ლიტერატურით, ამ მუშაობაში ჩააბან გამოცდილი პრაქტიკოსი მასწავლებლები, მწვრთნელები და მეთოდისტები, მოახდინონ მოწინავე გამოცდილების განზოგადება.

4. რესპუბლიკის ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებებმა:

ა) გააუმჯობესონ სკოლებზე საშეფო მუშაობა;

ბ) 1958 წლის 25 თებერვლამდე წარმოადგინონ განათლების

სამინისტროსა და ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში საშეფო სკოლების სიები და ცნობები ამ სკოლებში გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) დღის საათებში უფასოდ გამოჰყონ სკოლებისათვის სასპორტო ბაზები.

5. ფიზიკური კულტურის სწავლებისა და კლასგარეშე სპორტული მუშაობის არადამაკმაყოფილებელ დონეზე დაყენებისათვის გამოეცხადოთ საყვედური: ქ. თბილისის 30-ე, 75-ე, 89-ე, 99-ე საშუალო სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლებს: კანჯარაშვილს, ლონდარიძეს, ე. ხომერიკს, ი. კონსტანტინოვს, ქ. ბათუმის მე-6, 7, 17 და 21-ე საშუალო სკოლის ფიზიკური კულტურის მასწავლებლებს: ვ. ბასილიას, ა. მალკინას, ა. სარქისიანს, რ. ლორთქიფანიძეს, ქ. სოხუმის მე-3 რუსული საშუალო სკოლის ფიზიკური კულტურის მასწავლებელს ვ. ბიშკევიუს, ხარშურის რაიონის დიდი თხილნარის შვიდწლიანი სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელს ვ. გვერდწითელს, ფლევის შვიდწლიანი სკოლის ფიზიკური კულტურის მასწავლებელს ა. ხაჩიძეს, გურჯაანის რაიონის სოფ. ვეჯინის საშ. სკოლის ფიზკულტურას მასწავლებლებს: ვ. ჭანყოშვილსა და ნ. ყალაბეგიშვილს, ველისციხის საშუალო სკოლის ფიზკულტურას მასწავლებლებს: ი. ელიზბარაშვილსა და მ. ტურაშვილს, ბავშვთა სასპორტო სკოლის დირექტორს ვ. ქაჩლიშვილს.

6. მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის მიეთითოთ: ხაშურის რაიონის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ვ. ჩიქოვანს, ხაშურის რაიონის დიდი თხილნარის შვიდწლიანი სკოლის დირექტორს გ. გოგოლაძეს, ფლევის შვიდწლიანი სკოლის დირექტორს რ. ბუხრიკიძეს, გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ა. ქავთარაძეს, ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ვ. ჯაჯანიძეს, გურჯაანის რაიონის ვეჯინის საშუალო სკოლის დირექტორს შ. გაბიტაშვილს, ველისციხის საშ. სკოლის დირექტორს ვ. ავალიშვილს და ქ. ბათუმის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს გ. ურუშაძეს.

7. გაზეთ „სახალხო განათლებისა" და „ლელოს" რედაქტორებმა (ამხ. ამხ. გ. საჯაია და აკ. უგულავა) ფართოდ გააშუქონ გაზეთში მასალები სკოლებში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შესახებ. ამხილონ და მკაცრად გააკრიტიკონ ის სკოლები, სადაც

ჯერ კიდევ არასათანადო დონეზე დგას მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და კლასგარეშე სპორტული მუშაობა.

8. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ფიზკულტურისა და სპორტის შესაბამისი კომიტეტების თავმჯდომარეებმა ა/წლის 1-ლ აპრილამდე წარმოადგინონ მოხსენებითი ბარათი ამ ბრძანების შესრულების შესახებ.

9. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას რესპუბლიკის სკოლების პედაგოგიურ საბჭოების სხდომებზე.

10. სამინისტროს სკოლების სამმართველომ, ფიზიკური აღზრდის მეთოდურმა კაბინეტმა, რესპუბლიკის ფიზკულტურის კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის განყოფილებამ კონტროლი განახორციელოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისროს კოლეგიისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის 1958 წლის 31 იანვრის დადგენილება.

	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური
საქართველოს სსრ განათლების მინისტრის	კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის
მოადგილე **თ. ზახაშვილი**	მოადგილე **ი. ბოჭორიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 176

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 26 თებერვალი

საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების მდგომარეობის შესახებ

გავეცანი რა საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1957 წლის 27 მაისის № 678 ბრძანების შესრულების შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ პოლიტექნიკური სწავლება რესპუბლიკის მთელ რიგ სკოლებში დამაკმაყოფილებლად ხორციელდება. საშეფო ორგანიზაციების დახმარებით თანდათან ივსება და კეთილმოწყობილი ხდება სასწავლო სახელოსნოები, სასწავლო კაბინეტები და სასწავლო-საცდელი ნაკვეთები. მასწავლებლები წარმატებით ეუფლებიან პოლიტექნიკური სწავლების ორგანიზაციისა და მეთოდიკის საკითხებს.

პოლიტექნიკური სწავლების მატერიალური ბაზის განმტკიცებას დიდად შეუწყო ხელი თელაველთა ინიციატივამ. განათლების ორგანოების მუშაკთა და სკოლების ხელმძღვანელთა მიერ გატარებულ ენერგიულ ღონისძიებათა შედეგად წარმოება-დაწესებულებებმა სასკოლო შენობებს მიაშენეს სახელოსნოებისათვის საჭირო ოთახები და უზრუნველყვეს ისინი ხელსაწყო-იარაღებით. ასე, მაგალითად, აჭარის ასს რესპუბლიკის 31 სკოლაში ახლად მოეწყო სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები. ახალი სახელოსნოებისათვის სპეციალური შენობები ააგეს ქ. ბათუმის მე-4, მე-11, მე-13 და ქობულეთის პირველ საშუალო სკოლებში. მიმდინარე სასწავლო წლისათვის სრულყოფილი სახელოსნოები მოაწყვეს ქ. ბათუმის მე-9, მე-14, ქობულეთის რაიონის ჩაქვის, ხუცუბნის, ბობოყვათის, შუახევის რაიონის შოუბნისა და შუახევის საშუალო სკოლებში. ქუთაისის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა

ღონორისის საშუალო სკოლას გადასცა შენობა საზეინკლო და სადურგლო სახელოსნოებისათვის. ზუგდიდის რაიონის სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეობამ სკოლას აუშენა სახელოსნოებისათვის 100 კვ. მ. ფართობის შენობა. ინგურქალალდკომბინატმა ქ. ზუგდიდის მე-5 საშუალო სკოლას თავისი სახსრებით მოუწყო სახელოსნო, სკოლისათვის შეიძინა 12 სადურგლო და სამი საზეინკლო დაზგა, გადასცა ავტომანქანის მომქმედი ძრავა, სკოლისათვის შეიძინა აგრეთვე 2 ათასი მანეთის ხელსაწყო-იარაღები და კარადები იარაღებისა და მოსწავლეთა სპეცტანსაცმლის შესანახად. ლანჩხუთის რაიონის სუფსის ნავთსაქაჩის წარმოებამ, ხიდმაღლისა და ახალსოფლის კოლმეურნეობებმა სუფსის საშუალო სკოლას აუგეს ოთხოთახიანი სასწავლო სახელოსნო ლითონზე და ხეზე მუშაობისათვის. წალენჯიხის ჩაის მე-2 ფაბრიკამ, მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა და ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა წალენჯიხის საშუალო სკოლას მოუწყვეს საზეინკლო და სადურგლო სახელოსნოები, მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის კაბინეტები. ჯგალის, ნაკიფუს საშუალო და ჩქვალონის შვიდწლიან სკოლებს ადგილობრივმა კოლმეურნეობებმა აუგეს შენობები სახელოსნოებისათვის და უზრუნველყვეს ისინი სათანადო ინვენტარით. კასპის რაიონის მეტეხის აგურის ქარხანამ მეტეხის საშუალო სკოლას მიაშენა ორი ოთახი სახელოსნოსათვის და გარკვეული მუშაობა ჩაატარა მისი კეთილმოწყობისათვის. ასპინძის რაიონის ოშორის კოლმეურნეობამ 1000 მანეთის სადურგლო ხელსაწყო-იარაღები შეუძინა ოშორის საშუალო სკოლას და ბევრი რამ გააკეთა კაბინეტ-ლაბორატორიების შევსება-მოწყობისათვის. თეთრიწყაროს რაიონის 17 საშუალო და შვიდწლიან სკოლაში მოეწყო სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები. ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 9 საშუალო და შვიდწლიან სკოლას გადასცეს 10 ჰექტარზე მეტი ჩაის მოსავლიანი ფართობი, რომლის წლიური შემოსავალი დაახლოებით 140000 მანეთს შეადგენს; მიმდინარე სასწავლო წელს ქ. თბილისის მე-16 შვიდწლიან სკოლას შამპანკომბინატმა გადასცა შენობა, რომელშიც მოეწყო სასწავლო სახელოსნოები. ამავე სკოლას ჩაის გადამწონმა ქარხანამ გადასცა სასწავლო-საცდელ ნაკვეთად ვაზით გაშენებული 800 კვ. მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთი. მნიშვნელოვნად შეივსო ხელსაწყო-იარაღებით ქ. თბილისის მე-3, მე-4, მე-12, მე-17, 24-ე, 28-ე საშუალო სკოლების სასწავლო სახელოსნოები, მანქანათმცოდნეობისა და

სხვა სასწავლო კაბინეტები. სასწავლო-მატერიალური ბაზით უზრუნველყოფილია ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის ყველა შვიდწლიანი და საშუალო სკოლა, სამტრედიის რაიონის თითქმის ყველა საშუალო სკოლაში მოეწყო სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები. ჭიათურის ლენინისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოების დახმარებით ქ. ჭიათურის ყველა საშუალო და შვიდწლიან სკოლაში მოეწყო სასწავლო სახელოსნოები. ჭიათურის რაიონის 4 შვიდწლიან სკოლაში კოლმეურნეობების დახმარებით აშენდა ოთახები სასწავლო სახელოსნოების მოსაწყობად. ორჯონიკიძის პირველ და ამავე რაიონის ბორითის, ხევის და ლაშეს საშუალო სკოლებს საშეფო ორგანიზაციებმა აუშენეს და მოუწყვეს სახელოსნოები.

სკოლების სასწავლო მატერიალური ბაზის განმტკიცებასთან ერთად საგრძნობლად გაუმჯობესდა ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობა. ქ. თბილისის 54-ე (მასწ. თ. მახარაძე) და ცხაკაიას რაიონის ძველი სენაკის (მასწ. ლ. ყიფიანი) საშუალო სკოლების I—IV კლასებში ხელგარჯილობაში სამეცადინოდ გამოყოფილია ცალკე ოთახები, რომლებიც სათანადო ავეჯითა და საჭირო ხელსაწყო-იარაღებითაა უზრუნველყოფილი.

კარგადაა დაყენებული ხელგარჯილობის სწავლება გუდაუთის მეორე საშუალო სკოლის დაწყებით კლასებში (მასწავლებლები გ. გრუზანოვა, ზიუბა, იურენკოვა).

ქ. თბილისის 23-ე საშუალო სკოლის საზეინკლო სახელოსნო უზრუნველყოფილია საჭირო დანადგარებითა და სამუშაო იარაღით.

ამავე სკოლის სადურგლო სახელოსნო (მასწ. ს. ახვლედიანი) თავისი გამართულობით აკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულებას. სადურგლო საქმეში მოსწავლეებს გამონუშავებული აქვთ აუცილებელი შრომითი ჩვევები. ქ. თბილისის 55-ე საშუალო სკოლაში (მასწ. ი. ნოდია) კარგი პირობებია შექმნილი მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმის სწავლების უზრუნველსაყოფად. კაბინეტებისათვის გამოყოფილია ორი ოთახი. სწავლების პროცესში მასწავლებელი იყენებს კინოს, სასწავლო ექსკურსიებს.

ქ. თბილისის 37-ე საშუალო სკოლის ელექტროტექნიკის კაბინეტში გამართულია მაგიდები ლაბორატორიული მუშაობისათვის.

კარგად ისწავლება სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმი რესპუბლიკის მთელ რიგ სკოლაში, ხაშურის რაიონის ალის (მასწ. ნ. მარტინენკო) და ცხაკაიას რაიონის ძველი სენაკის (მასწ. ს. ჯან-

ჯღავა) საშუალო სკოლებში მასწავლებლები სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთთან ერთად სწავლების პროცესში იყენებენ ადგილობრივ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და მტს-ებს. ამ სკოლების VIII კლასების მოსწავლეები პრაქტიკულად დახელოვნებული არიან მინერალური სასუქებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამოყენებაში, ბოსტნეულ, მარცვლეულ და ტექნიკურ კულტურათა მოვლის წესებში. ძველი სენაკის საშუალო სკოლამ 40 კვალიფიციური მყნობელი აღზარდა. ბორჯომის რაიონის ტაძრისის (მასწ. მ. ფანჯარაძე) და საჩხერის რაიონის არგვეთის (მასწ. ქს. ვახანია) საშუალო სკოლებში სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის სწავლების პროცესში კოლმეურნეობების ნაკვეთთა გარდა ფართოდ არის გამოყენებული მეცხოველეობის ფერმები. მოსწავლეები აღჭურვილი არიან ისეთი ცოდნა-ჩვევებით, როგორიცაა ძროხებისა და ხბოებისათვის საკვები რაციონის შედგენა, ცხოველის ცოცხალი წონის გამოანგარიშება გაზომვით, ცხოველთა ავადმყოფობისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა და სხვ.

ბევრად გაუმჯობესდა რესპუბლიკის სკოლებში ნაკვეთზე პრაქტიკული მეცადინეობა. სკოლების საგრძნობი ნაწილის სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე მოწყობილია სათბურები და კვალსათბურები, სამეცადინო მოედნები, საცდელი კვლები, ხეხილისა და ვაზის ნარგავები, ჩაის პლანტაცია, ზოოლოგიური განყოფილებანი და სხვ.

ხაშურის რაიონის გომის საშუალო და ცხაკაიას რაიონის კოტიანეთის შვიდწლიანი სკოლების მოსწავლეებს გამომუშავებული აქვთ პრაქტიკული ხასიათის ცოდნა-ჩვევები. ისინი სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე ატარებენ შემოქმედებითი ხასიათის ცდა-დაკვირვებებს, რომელთა შედეგებს შემდეგ ანზოგადებენ. მაგალითად, გომის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა 2—3 წლის დაკვირვების შედეგად სიმინდის 20 სხვადასხვა ჯიშიდან ადგილობრივ პირობებში გამოსადეგად შეარჩიეს სიმინდის ორი უხვმოსავლიანი ჯიში, ასევე—კარტოფილის 2—3 ჯიში. სკოლის მიერ რეკომენდებული სიმინდისა და კარტოფილის ჯიშები ამჟამად ფართოდ არის დანერგილი ადგილობრივ კოლმეურნეობათა პრაქტიკაში. კოტიანეთის შვიდწლიანი სკოლის მოსწავლეებმა გამოიყვანეს სიმინდის ჰიბრიდული ჯიში „კოტიანეთი“, რომელიც თანდათან ვრცელდება ადგილობრივ მოსახლეობაში, როგორც ადგილობრივ პირობებთან კარგად შეგუებული

ცხაკაიას რაიონის ზეფის შვიდწლიანი სკოლის მოსწავლეები (მასწ. აქვ. გვასალია) სასწავლო-საცდელი ნაკვეთის ზოოლოგიურ განყოფილებაში დიდი ინტერესით უვლიან შინაურ ფრინველებს, შინაურ კურდღლებს, მტრედებსა და სხვ. ისინი ამავე დროს მეცხოველეობის ფერმაში უვლიან ხბოებს. მოსწავლეები აქ ყველა სამუშაოს ზედმიწევნით კარგად ასრულებენ. მათ იციან სოფლის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა ხერხები, შესაწამლი მასალების დამზადება და სხვ. ასევე კარგადაა დაყენებული სასწავლო ნაკვეთზე მოსწავლეთა მუშაობის საქმე თელავის რაიონის წინანდლისა და კონდოლის (მასწავლებლები: ვ. დათუკიშვილი, ს. გალახვერიძე), ბორჯომის რაიონის ახალდაბის (მასწავლებელი ქს. სიხარულიძე), სიღნაღის რაიონის წნორის (მასწ. დ. ნარინდოშვილი), სოხუმის რაიონის ახალსოფლის (მასწ. ე. ბერულავა), ქ. ქუთაისის მეთორმეტე (მასწ. გრ. ბეშკენაძე), გუდაუთის მეორე (მასწ. ლ. ევგენოვა) და სხვ. საშუალო სკოლებში.

ბათუმის, ქობულეთის, ქარელის, გორის, ხაშურის, ცხაკაიას, ტყიბულის, ორჯონიკიძის, დუშეთის, ონის, ზესტაფონის, ქუთაისის, საგარეჯოს, მარნეულის, თიანეთის რაიონების სკოლებმა 1957 წელს ორგანიზებულად ჩაატარეს მოსწავლეთა საზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა. მათ დროულად შეადგინეს საწარმოო პრაქტიკის ჩასატარებელი გეგმა, გაითვალისწინეს საამისოდ მოსწავლეთა ასაკი, საბუნებისმეტყველო საგნების ცოდნის დონე და პრაქტიკული მუშაობის ის სახეები, რაც ადგილობრივი პირობებისათვის არის დამახასიათებელი. საწარმოო პრაქტიკის ჩატარების პერიოდში მოსწავლეები დაიყო ბრიგადებად და რგოლებად, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ გამოცდილი მასწავლებლები და სასოფლო-სამეურნეო შრომისა და ნატურალისტური მუშაობის მოყვარული მოსწავლეები. რგოლებს შორის გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა მოსწავლეთა ინტერესი შრომისადმი.

დასახელებული რაიონების სკოლების V—VI კლასების მოსწავლეები სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარგად გაეცნენ პროგრამით გავთალისწინებულ შრომითი პროცესების ყველა სახეს, ხოლო VIII—X კლასების მოსწავლეებმა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეასრულეს კულტურების მოვლისა და მოსავლის აღების ყველა მნიშვნელოვანი სამუშაო.

საწარმოო პრაქტიკის პერიოდში საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩაბმული იყო საგარეჯოს რაიონის სკოლების 2456 მოსწავლე, ტყიბულის რაიონში—2585, დუშეთის რაიონში—2683 ბავშვი, ტაფონის რაიონში—2987 მოსწავლე.

ქობულეთის რაიონის სკოლების მოსწავლეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 720 ტონა ჩაის ფოთოლი, მახარაძის რაიონის სკოლების მოსწავლეებმა—2750 ტონა. ტყიბულის, ცხაკაიასა და გორის რაიონების სკოლებმა დიდძალი სამუშაო შეასრულეს ჩაის, მარცვლეულის და ტექნიკური კულტურების გათოხნა-გამარგვლისა და მოსავლის აღების საქმეში.

საწარმოო პრაქტიკის პროცესში საგარეჯოს რაიონის სკოლების მოსწავლეებმა გამოიმუშავეს 10.841 შრომადღე, დუშეთის—11.400, ქარელის—12.510, გურჯაანის—19199, კაჭრეთის—34.170, გორის—50.000 შრომადღე.

წარმატებით ჩაატარეს საზაფხულო სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა ქ. ბათუმის სკოლებმა, რომელთაც საწარმოო პრაქტიკის ბაზად გამოიყენეს მახლობელი კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი და ადგილობრივი ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური.

მოსწავლეებში ტექნიკური ხასიათის ცოდნა-ჩვევების დანერგვას სათანადოდ ხელმძღვანელობს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური (დირექტორი გ. ეპიტაშვილი). სადგურში 51 სხვადასხვა სახის ტექნიკური წრეა ჩამოყალიბებული, სადაც 850 მოსწავლეა გაერთიანებული.

მოსწავლეებში სასოფლო-სამეურნეო ცოდნა-ჩვევების გამომუშავებისათვის ფართო შესაძლებლობანი გააჩნია ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ სადგურს (შ. მანგიაშვილი). სადგური აწყობს რესპუბლიკის სკოლების მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენას. 1957 წელს ასეთ გამოფენაში მონაწილეობა მიიღო 35 რაიონმა, წარმოდგენილი იყო 3.000-ზე მეტი ექსპონატი. გამოფენა 30.000-მდე მოსწავლემ ინახულა. სადგური ყოველწლიურად იღებს მონაწილეობას საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში ფართო მაჩვენებლით.

პოლიტექნიკური სწავლების დარგში მიღწეულ ერთგვარ წარმატებებთან ერთად რესპუბლიკის სკოლების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანი შეიმჩნევა.

იმის გამო, რომ განათლების ადგილობრივი ორგანოები და სკო-

ლების ხელმძღვანელები საჭირო თაოსნობას ვერ იჩენენ, საშეფო ორგანიზაციები ბურჯაანისა და წულუკიძის რაიონების სკოლებს ქმედით დახმარებას არ უწევენ სასწავლო მატერიალური ბაზების შექმნაში.

კაჭრეთისა და ცაგერის რაიონების სკოლების დაწყებით კლასებში ხელგარჯილობის მეტად დაბალი ხარისხის გაკვეთილები ტარდება.

ქ. თბილისის გარეუბნის, ლენინგორის, საჩხერის რაიონების ბევრ სკოლას სახელოსნოებისათვის არა აქვს ხელსაწყო-იარაღები და სათავსოები.

ბორჯომის, წულუკიძის, ქუთაისის, სტალინირის, ზნაურის რაიონების ზოგიერთ შვიდწლიანსა და საშუალო სკოლებში სასწავლო სახელოსნოები მოუვლელი, მოუწესრიგებელი და სწავლების პროცესში გამოუყენებელია.

ქ. თბილისის მე-4, ქ. ფოთის მეხუთე, ქ. წულუკიძის პირველ, წყალტუბოს რაიონის ცხუნკურის, ზნაურის რუსულ და ქ. სტალინირის საშუალო სკოლებს არა აქვთ მანქანათმცოდნეობის კაბინეტები და საგნის სწავლება ზეპირსიტყვიერად მიმდინარეობს.

სასწავლო-საცდელი ნაკვეთებით არ არის უზრუნველყოფილი ზნაურის რაიონის 45 დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო და ბოლნისის რაიონის 23 დაწყებითი სკოლა. ლენინგორის რაიონის ბევრ სკოლას კოლმეურნეობამ მწირი, ხრიოკი, ურწყავი და სკოლიდან მეტად დაშორებული ნაკვეთები გამოუყო.

რიგ შემთხვევაში პრაქტიკული მეცადინეობისას მასწავლებლები სათანადოდ არ იყენებენ სკოლის სასწავლო საცდელ ნაკვეთებს, არ ხელმძღვანელობენ ნორჩ ნატურალისტთა მუშაობას, არ ატარებენ პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაოებსა და ცდა-დაკვირვებებს (ხაშურის რაიონის წაღვლისა და სურამის მეორე, ქ. წულუკიძის პირველი და მეორე საშუალო და ამავე რაიონის წითელვარსკვლავის შვიდწლიანი სკოლები). ნაკლოვანებანი ახასიათებდა გასულ წელს ჩატარებულ მოსწავლეთა საზაფხულო სასოფლო-სამეურნეო საწარმოო პრაქტიკას.

ბათუმის, ქობულეთის, შუახევის, ხულოს, ქედისა და ახმეტის რაიონების ზოგ სკოლაში დიდი დაგვიანებით შეადგინეს საწარმოო პრაქტიკის ჩატარების გეგმა. ამასთან, საწარმოო პრაქტიკის პროცესში მოსწავლეებს წინასწარ არ აძლევდნენ სათანადო ინსტრუქტაჟს, არაორგანიზებულად გაყავდათ მოსწავლეები სამუშაოზე და

სხვ. რიგ შემთხვევებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობა არ იცავდა მოსწავლეთა სამუშაო დღის რეჟიმს და მოსწავლეებს სიცხეში მთელი დღის განმავლობაში ამუშავებდნენ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) პერიოდულად მოისმინონ საკითხი კოლეგიებისა და განათლების საბჭოს სხდომებზე სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების შესახებ და მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებისათვის დასახონ ქმედითი ღონისძიებანი;

ბ) ადგილობრივი პირობებისა და საშუალებების შესაბამისად გააუმჯობესონ სკოლების მატერიალური ბაზა;

გ) აამაღლონ სკოლების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა პოლიტექნიკური სწავლებისათვის საჭირო სახელოსნოების, კაბინეტ-ლაბორატორიების შექმნისა და მოსწავლეთა მიერ პროგრამული მასალის მაღალხარისხოვნად ათვისების საქმეში;

დ) სისტემატური დახმარება აღმოუჩინონ მასწავლებლებს, ხელი შეუწყონ მათ მეთოდური დახელოვნების საქმეში, ფართოდ განაზოგადონ პოლიტექნიკურ სწავლებაში მოპოვებული მოწინავე გამოცდილება.

2. ქ. თბილისის გარეუბნის, ლენინგორის, ბორჯომისა და საჩხერის რაიონების განათლების განყოფილებებმა ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოებისა და საშეფო ორგანიზაციების დახმარებით უზრუნველჰყონ სახელოსნოსათვის შესაფერი სათავსოების აშენება და პრაქტიკული მეცადინეობისათვის ნორმალური პირობების შექმნა.

3. ქ. სტალინირის, ქუთაისის, წულუკიძის, ზნაურის რაიონების განათლების განყოფილებებმა შეავსონ და წესრიგში მოიყვანონ სასწავლო სახელოსნოები; უზრუნველყონ მათში მეცადინეობისათვის ნორმალური პირობების შექმნა.

4. ზნაურის, ბოლნისის, მარნეულის, ქარელის, საჩხერისა და ახალქალაქის რაიონების განათლების განყოფილებებმა 1958/59 სასწავლო წლის დასაწყისისათვის ყველა სკოლა უზრუნველყონ სასწავლო საცდელი ნაკვეთით; ლენინგორის რაიონის განათლების განყოფილებამ ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან შეთან-

ხმებით, მოკლე დროში მიაღწიოს სასწავლო საცდელი მიზნით გამოყოფილი უვარგისი მიწის ფართობის შესაფერისი ნაკვეთებით შეცვლას.

5. სკოლების დირექტორებმა:

ა) ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ მასწავლებლებს ცალკეული საგნების სწავლების გაუმჯობესების საქმეში, სისტემატურად მოისმინონ მათი გაკვეთილები, მიაღწიონ მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების სრულყოფას და სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას;

ბ) გააძლიერონ კავშირი საწარმო-დაწესებულებებთან, კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, მტს-ბთან; მოაწყონ შეხვედრები წარმოების მოწინავე ადამიანებთან, სპეციალისტებთან. ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით მიაღწიონ პოლიტექნიკური სწავლებისათვის სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებას;

გ) მიაღწიონ სასწავლო სახელოსნოებისა და კაბინეტების შესაფერი სათავსოებით უზრუნველყოფას; იზრუნონ სახელოსნოების, კაბინეტების შევსება-მოწყობისათვის და სასწავლო-საცდელი ნაკვეთებით სკოლების უზრუნველყოფისათვის; გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი სასწავლო მატერიალური ბაზის სწავლების პროცესში მაქსიმალურად გამოყენებაზე;

დ) უზრუნველყონ მოსწავლეთა საზაფხულო სასოფლო-სამეურნეო საწარმოო პრაქტიკის ნაყოფიერად ჩატარება; დროზე შეადგინონ საწარმოო პრაქტიკის გეგმა, პრაქტიკის ხელმძღვანელებად შეარჩიონ ძირითადად საბუნებისმეტყველო ციკლის საგნების მასწავლებლები; მოსწავლეები დაჰყონ ბრიგადებად, რგოლებად და მათ სათავეში ჩაუყენონ შრომისმოყვარე მოსწავლეები. აღკვეთონ საწარმოო პრაქტიკისას უბრალო მუშახელად მოსწავლეთა გამოყენების შემთხვევები; მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლეებს სამუშაოს შესრულებამდე ეძლეოდეთ სათანადო ინსტრუქტაჟი. არ დაუშვან მოსწავლეთა დღის რეჟიმის დარღვევის შემთხვევები საწარმოო პრაქტიკის დროს.

6. ქ. თბილისის მე-4, ქ. ფოთის მე-5, ქ. წულუკიძის პირველ, წყალტუბოს რაიონის ცხუნკურის, ზნაურის რუსულ და ქ. სტალინირის საშუალო სკოლების დირექტორებმა და მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმის მასწავლებლებმა 1958/59 სასწავლო წლისათვის,

ადგილობრივ საშეფო ორგანიზაციების დახმარებით უზრუნველყოს მანქანათმცოდნეობის კაბინეტების მოწყობა.

7. წაღვლისა და სურამის მეორე საშუალო (ხაშურის რაიონი);

ქ. წულუკიძის პირველი, მეორე საშუალო და წითელვარსკვლავის შვიდწლიანი სკოლების (წულუკიძის რაიონი) ხელმძღვანელობამ მტკიცე კონტროლი დააწესოს სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე პრაქტიკული მეცადინეობის მიმდინარეობის დროს და უზრუნველყონ პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოებისა და ცდა-დაკვირვებების ნაყოფიერად ჩატარება.

8. პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა (ამხ. დ. ლორთქიფანიძე):

ა) გააძლიეროს სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების დაყენებისადმი ყურადღება და მოახდინოს სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობის მოწინავე გამოცდილების ფართო განზოგადება;

ბ) მოამზადოს სპეციალური კონფერენცია მოსწავლეთა პრაქტიკული ცხოვრებისათვის მომზადებისა და სწავლების საზოგადოებრივ- სასარგებლო შრომასთან დაკავშირების საკითხებზე.

9. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. გ. ასპინძელაშვილი) 1958 წლის ბოლომდე უზრუნველყოს შრომის, პრაქტიკული მეცადინეობისა და პრაქტიკუმების მასწავლებელთა გადამზადება. რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეების განაცხადის მიხედვით.

10. სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებამ (ამხ. დ. ჯავახია) 1958 წლის განმავლობაში მოამზადოს და გამოსცეს მანქანათმცოდნეობის საფუძვლები VIII—X კლასებისათვის, ხელგარჯილობის გაკვეთილები III—IV კლასებისათვის, პრაქტიკული მეცადინეობა სასწავლო სახელოსნოებში VI—VII კლასებისათვის, პრაქტიკუმი მემცენარეობაში VIII კლასისათვის, პრაქტიკუმი მეცხოველეობის საფუძვლებში IX კლასისათვის და პრაქტიკუმი ელექტროტექნიკაში X კლასისათვის.

11. მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი, რომ 1958/59 სასწავლო წლის დასაწყისისათვის ჩატარდეს ქ. თბილისში რესპუბლიკური კონფერენცია პოლიტექნიკური სწავლების საკითხებზე; კონფერენციის პროფილისა და პრაქტიკული საკითხების დასამუშავებლად, მოსამზადებლად გამოიყოს კომისია: მ. ბურჭულაძე (თავმჯდომარე), დ. ლორთქიფანიძე, გ. საყვარელიძე, ი. გვერდწითელი, ვ. კვიმ-

საძე, გ. ასპინძელაშვილი, შ. ბერიანიძე, ნ. კიკვაძე, ნ. ჯაფარიძე, გ. ეპიტაშვილი, შ. მანგიაშვილი.

კომისიამ ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს კონფერენციის მონაწილეების გეგმის დაზუსტებული პროექტი.

12. გაზეთ „სახალხო განათლების“ და ჟურნალ „კომუნისტური ღზრდისათვის“ რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ რესპუბლიკის სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების მდგომარეობა.

13. სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. საყვარელიძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 178

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი
1958 წლის 26 თებერვალი

სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეთა შრომითი აღზრდის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, მათი პრაქტიკული ცოდნა-ჩვევებით შეიარაღების მიმართულებით ბევრ სკოლა-ინტერნატში მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარებული.

კოჯრის სკოლა-ინტერნატში სათანადო პირობებია შექმნილი სასწავლო სახელოსნოში პრაქტიკული მეცადინეობისათვის. აქ მოწყობილია საზეინკლო და სადურგლო სახელოსნოები, რომლებიც უზრუნველყოფილია საჭირო ხელსაწყო იარაღებითა და მასალით. აღსაზრდელები ნაყოფიერად მუშაობენ სადურგლო სახელოსნოში (მასწავლებელი ო. რატიანი). ისინი ამზადებენ საყვავილე ყუთებს, ტანისამოსის ჩამოსაკიდებლებს, სურათის ჩარჩოებს, გალიებს, სკამებს, სადურგლო იარაღების კალაპოტებს, აწარმოებენ სასკოლო ინვენტარისა და სასწავლო ნივთების შეკეთებას. მასწავლებელი ო. რატიანი გაკვეთილებზე წინასწარ აცნობს მოსწავლეებს ამა თუ იმ იარაღის დამზადების ხერხებს, დასამუშავებელ მასალას, სამუშაო იარაღებს, დავალების შრომატევადობას. გაკვეთილის პროცესში მასწავლებელი თვალყურს ადევნებს აღსაზრდელებს, თუ რამდენად ზუსტად ასრულებენ ისინი დავალებას; ამოწმებს იარაღის მომართვას და ხმარებას, სისუფთავისა და წესრიგის დაცვას. მასწავლებელი თვითეული მოსწავლის შეცდომას ასწორებს ინდივიდუალურად, ხოლო თუ ერთსა და იგივე შეცდომას მრავალი აღსაზრდელი უშვებს, მაშინ იგი საერთო რეკომენდაციას ახდენს. გაკვეთილის ბოლოს ხდება შესრულებული სამუშაოების დათვალიერება და შეფასება.

აღსაზრდელები მუშაობის პროცესში დროს რაციონალურად

იყენებენ, ადგილი არა აქვს ზედმეტ, უმიზნო მოძრაობას. ბავშვები ინტერესით ეკიდებიან საქმეს, მაღალია მათი შრომის კულტურა. ასევე ნაყოფიერად მუშაობენ აღსაზრდელები საზეინკლო სახელოსნოში (მასწავლებელი ნ. ნესტოროვი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზეინკლო სახელოსნო მოწყობილია აგრეთვე თეთრი წყაროს სკოლა-ინტერნატში (მასწავლებელი ა. სირაძე), სადაც მოსწავლეები ეწევიან ნაყოფიერ პრაქტიკულ მუშაობას.

ბეთანიის სკოლა-ინტერნატში არსებობს სამკერვალო სახელოსნო. ჭრაკერვის წრეში გაერთიანებულია 17 აღსაზრდელი ქალი, ხოლო ფეხსაცმლის შემკეთებელ სახელოსნოში მუშაობს 20 აღსაზრდელი ვაჟი. ისინი აწარმოებენ აღსაზრდელთა ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის შეკეთებას. ასევე კარგად მუშაობენ სამკერვალო და ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნოები თეთრი წყაროს, კოჯრისა და გუმათის სკოლა-ინტერნატებში, კოჯრის სკოლა-ინტერნატში კარგად მუშაობენ ფოტომოყვარულთა, ავიო, გემმშენებელთა და ფერწერის, ხოლო თეთრიწყაროს, ბეთანიისა და გუმათის სკოლა-ინტერნატებში რადიო, ფოტომოყვარულთა და ნორჩ კინოდემონსტრატორთა წრეები.

კარგადაა დაყენებული აღსაზრდელთა თვითმომსახურების საქმე კოჯრისა და თეთრი წყაროს სკოლა-ინტერნატებში, აქ აღსაზრდელები ასუფთავებენ და ალაგებენ სასადილო, საწოლ და საკლასო ოთახებს, ეხმარებიან მზარეულებს კერძების მომზადებაში. ბოლოწეულას სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებმა გაამწვანეს სკოლა-ინტერნატის ეზო.

სათანადო დონეზეა დაყენებული პრაქტიკული მეცადინეობა სასწავლო საცდელ ნაკვეთზე გორდის სკოლა-ინტერნატში. სკოლა ინტერნატს აქვს კეთილმოწყობილი ნაკვეთი და დამხმარე მეურნეობა. პრაქტიკულ მეცადინეობაზე მოსწავლეები იძენენ პროგრამით გათვალისწინებულ ცოდნა-ჩვევებს. გასულ წელს სკოლა-ინტერნატმა სასწავლო ნაკვეთიდან და დამხმარე მეურნეობიდან მიიღო სიმინდი—8787 კგ., კარტოფილი 1 ტონა, კომბოსტო 200 კგ., კიტრი 306 კგ., პამიდორი 1738 კგ., ვაშლი 1070 კგ., ლობიო 260 კგ., ჩალა 5 ტონა, ხოლო რძის პროდუქტები 5448 კგ.

დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული ქიმიის სწავლება კოჯრის სკოლა-ინტერნატში (მასწავლებელი ა. შტანინა). VII კლასის მოსწავლეებმა საფუძვლიანად იციან წყალბადისა და ჟანგბადის ფიზიკური და ქიმიური თვისებები, ტექნიკაში მათი გამოყენება, გამართუ-

ლად წერენ მარტივ ქიმიურ ტოლობებს, ერკვევიან ქიმიის ძირითადი კანონების არსში. მასწავლებელი სისტემატურად ატარებს სადემონსტრაციო ცდებს, ავარჯიშებს მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაზე.

სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული ქიმიის სწავლება თეთრი წყაროს სკოლა-ინტერნატში (მასწ. ფ. ჩაჩუა), ბიოლოგიისა—კოჯრის სკოლა-ინტერნატში (მასწავლებელი პ. შტანინა). აქ VI კლასის მოსწავლეებმა კარგად იციან ბაქტერიების, სოკოების, მღიერების, ხავსების აგებულება და გამრავლება, ტორფის გამოყენება სახალხო მეურნეობაში და სხვ. VIII კლასის მოსწავლეები სათანადოდ ერკვევიან საჭმლის შედგენილობის, საჭმლის მომნელებელი აპარატისა და ფერმენტების საკითხებში. სკოლაში მუშაობს ნორჩ ნატურალისტთა წრე, სადაც მოსწავლეთა მიერ წაკითხულია რეფერატები, შეგროვილია ადგილობრივ გარემოში გავრცელებული მცენარეულობა, სისტემატურად ტარდება ექსკურსიები.

მტკიცე ცოდნა გამოამჟღავნეს ფიზიკაში ბროწეულას სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ვ. სვანიძე). VI კლასის მოსწავლეებმა შეგნებულად იციან სხეულის სიგრძის, ფართობისა და მოცულობის, ძალის, ხვედრითი წონის, წნევის გაზომვა. მათ პრაქტიკული წარმოდგენა აქვთ წნევაზე, ტრაქტორზე, ტანკზე, შენობის საძირკველზე, საჭრელ იარაღებზე, და სხვ. მოსწავლეებმა ასევე შეგნებულად იციან ატმოსფერული წნევის გამომწვევი მიზეზები, მისი გაზომვა ანეროიდის საშუალებით. VII კლასის მოსწავლეებმა კარგად იციან მუდმივი დენის კანონები, ელექტრობის რაოდენობა, დენის ძალა, ძაბვა და მათი საზომი ერთეულები.

გუმათის სკოლა-ინტერნატის ფიზიკის მასწავლებელი ლ. მეგრელიშვილი გაკვეთილის პროცესში მოხდენილად იყენებს თვალსაჩინოებას. VII კლასის მოსწავლეებმა იციან ელექტრული დენის ძალა, წინააღმდეგობა, ძაბვა. მასწავლებელ ლ. მეგრელიშვილს, როგორც ახალგაზრდა მასწავლებელს, მნიშვნელოვან მეთოდურ დახმარებას უწევს სკოლა-ინტერნატის დირექტორი გ. ფრუიძე.

კარგადაა დაყენებული არითმეტიკის სწავლება გუმათის სკოლა-ინტერნატის III—IV კლასებში. მასწავლებელი მ. ლანჩავა ატარებს პრაქტიკული ხასიათის ვარჯიშს საკლასო ოთახის იატაკის, კლასის სასინათლო ფართობის, სკოლის ბოსტნის, ბაღის, ეზოს ფართობის გაზომვაზე. იგი ასწავლის მოსწავლეებს ისეთ გაანგარიშებათა შესრულებას, რომლებიც დაკავშირებულია სკოლაში ჩატარებულ ამა

თუ იმ ღონისძიებასთან (ექსკურსია, მუშაობის ჩატარება სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე და სხვ.).

მაგრამ სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა შრომითი აღზრდა და პოლიტექნიკური სწავლება ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება.

დაბალ დონეზე დგას ხელგარჯილობის სწავლება დაწყებით კლასებში. მასწავლებლები კმაყოფილდებიან იმით, რომ მოსწავლეებს ამუშავებენ მხოლოდ თიხასა და პლასტილინზე, რასაც ხელგარჯილობისათვის გათვალისწინებული 132 საათიდან პროგრამით მხოლოდ 13 საათი ეთმობა. სათანადო ყურადღება არ ექცევა მუშაობას ქსოვილზე (კერვა და ქარგვა), მერქანზე, სასწავლო-საცდელ ნაკვეთსა და ბუნების ცოცხალ კუთხეში. სრულიად არ სწარმოებს მუშაობა IV კლასებში ტექნიკურ მოდელირებაზე.

ნაკლებად იციან ბავშვებმა ქსოვილზე მუშაობის პროგრამით გათვალისწინებული ისეთი საკითხები, როგორიც არის დუგმის, ჩამოსაკიდის, ღილის დაკერება, ცხვირსახოცის, ხელსახოცის შემოკერვა, ტანსაცმლის მარტივი შეკეთება, პირსახოცზე, ხელსახოცზე, თეთრეულზე და ტანსაცმელზე ნიშნების ამოქარგვა.

ძალზე სუსტად მუშაობს ბეთანიის სკოლა-ინტერნატის III კლასის არითმეტიკის მასწავლებელი ა. გოზალიშვილი. იგი არ აძლევს მოსწავლეებს პრაქტიკულ ცოდნა-ჩვევებს და მოუთმენელ უპასუხისმგებლობას იჩენს საკლასო და საშინაო წერითი ნამუშევრების გასწორებისადმი.

ბეთანიის სკოლა-ინტერნატის ბიოლოგიის მასწავლებელი ა. იაშვილი ვერ ერკვევა კლასგარეშე მუშაობის ორგანიზაციაში, არ ატარებს პროგრამით გათვალისწინებულ ცდა-დაკვირვებებს სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე, არ არის ჩამოყალიბებული ნორჩ ნატურალისტთა წრე. იგი მოუმზადებლად ატარებს პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო ექსკურსიებს. ამ სკოლა-ინტერნატში ნაკვეთზე პრაქტიკული მეცადინეობისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის სწავლება (მასწავლებელი გრ. ნიორაძე, აგრონომი) არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. სკოლის სასწავლო-საცდელი ნაკვეთი არ არის კეთილმოწყობილი, იგი არ არის სწავლების პროცესში გამოყენებული, ნაკვეთზე არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები. ხეხილის ბაღის ნიადაგი დაუმუშავებელია, ნიადაგს არ ანოყიერებენ, გაუწმენდავია მცენარეთა ტანი ხავ-

სებისა და მღიერებისაგან, ხეხილი არ არის კირწყლით შეთეთრებული და გასხლული.

ბროწეულას სკოლა-ინტერნატის ბიოლოგიის მასწავლებელმა გ. გოგოძე სუსტად ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს. იგი არ იცნობს საოთახო მცენარეებს, რომლებიც ინტერნატში აქვთ და ვერ იყენებს მათ სწავლებაში, უძნელდება მიკროსკოპზე მუშაობა, ვერ ატარებს იმ სავალდებულო ცდებს და დემონსტრაციებს, რაც სასწავლო პროგრამით არის გათვალისწინებული. ახალი მასალის ახსნისას მასწავლებელმა ვერ გაამახვილა ყურადღება ბაქტერიების მნიშვნელობაზე სახალხო მეურნეობაში, სრულიად არაფერი თქვა სასათბურო მეურნეობაზე და ბაქტერიების როლზე ამ საქმეში. მასწავლებელი არ იმარაგებს შემდეგი გაკვეთილისათვის დიდაქტიკურ მასალას. V კლასში კვირტის შესწავლისას მან გამოიყენა სახელმძღვანელოდან გადმოხატული მცირე ზომის კვირტის ნახატი, მაშინ, როდესაც შეიძლებოდა ყველა მოსწავლისათვის ჩამოერიგებინა პატარა ტოტები და ასე განეხილა ლუპით კვირტების განლაგება და აგებულება, გაკვეთილზე ტყემლის, ატმის ან სხვა რომელიმე ადრე მოყვავილე ხე მცენარის გამოუყენებლობის გამო მასწავლებელმა ვერ მისცა მოსწავლეებს წარმოდგენა საფოთლე და საყვავილე კვირტების განმასხვავებელ ნიშნებზე.

ძალზე ცუდადაა დაყენებული ქიმიის სწავლება ბეთანიის სკოლა-ინტერნატის VIII კლასში (მასწავლებელი თ. ლაბაძე). მოსწავლეებს წარმოდგენა არა აქვთ ფუძეების, მჟავებისა და მარილების მიღების ხერხებზე, ნეიტრალიზაციის რეაქციებზე, მჟავათა ფუძიანობაზე, მარილთა ტიპებზე ჰალოგენების ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებზე და სხვ. ისინი ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ ქლორწყალბადსა და მარილმჟავას. მოსწავლეებს არა აქვთ პრაქტიკული ხასიათის ჩვევები, მათ არ შეუძლიათ ქიმიაში მარტივი ხელსაწყოების გამოყენება, ნივთიერებათა გაფილტვრა და სხვ. ამ კლასს გასულ წელს ქიმიას ასწავლიდა ა. იაშვილი, რომელსაც სრულიად გამოუტოვებია პროგრამით გათვალისწინებული 17 საათიანი თემა „ჟანგეულები, ფუძეები, მჟავები, მარილები". VIII კლასში კი მასწავლებელ თ. ლაბაძეს ეს თემა აღარ უსწავლებია.

სრულიად არ მუშაობს ქიმიის წრე, არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ექსკურსიები და პრაქტიკული სამუშაოები.

ასევე არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ქიმია ბროწეულას სკოლა-ინტერნატში. ქიმიის კაბინეტში არა აქვთ საჭირო რაოდე-

ნობით რეაქტივები, მჟავები, ჭურჭელი, სინჯარები და სხვ. ქიმიის კაბინეტში არსებული რეაქტივები, ჭურჭელი, გაზების მისაღები და დასაგროვებელი აპარატები შეფუთული და ხელუხლებელია. VII კლასში მასწავლებელი ნ. გოგოძე ქიმიას ზეპირსიტყვიერად ასწავლის, არ ატარებს ცდებს და პრაქტიკულ სამუშაოებს. აქ აღრიცხული არაა ქიმიის კაბინეტში არსებული ინვენტარი.

გუმათის სკოლა-ინტერნატს აქვს ქიმიის კაბინეტი, სადაც არის პროგრამით გათვალისწინებული ცდებისა და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებისათვის საჭირო ხელსაწყოები და რეაქტივები, მაგრამ მასწავლებელი ნ. მორჩაძე მათ არ იყენებს ცდებისა და დემონსტრაციების ჩასატარებლად.

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება ფიზიკის სწავლება. ბეთანიის სკოლა-ინტერნატში არ არის ფიზიკის კაბინეტი; ფიზიკის გაკვეთილები ტარდება საკლასო ოთახში, სადაც დგას ორი კარადა ხელსაწყო-იარაღებით. ხელსაწყო-იარაღებს არ ეტყობა ლაბორანტის ხელი (ლაბორანტი ა. ჯაფარიძე—დამთავრებული აქვს კულტსაგანმანათლებლო ტექნიკუმი). მასწავლებელი ნ. რურუა ამა თუ იმ კანონის ახსნისას არ აცნობს მოსწავლეებს მის პრაქტიკულ გამოყენებას.

კოჯრის სკოლა-ინტერნატის ფიზიკის მასწავლებელი ლ. ბაღდასაროვა სათანადოდ ვერ ფლობს ფიზიკის ექსპერიმენტის ტექნიკას და გაკვეთილებს ზეპირსიტყვიერად ატარებს. ამიტომაა, რომ აქ VII კლასის ვერცერთმა მოსწავლემ ვერ მოახერხა ჯიბის ფარნის წრედის შედგენა. მოსწავლეებმა ისიც კი არ იცოდნენ, თუ სქემატურად როგორ გამოისახება ელემენტი.

ფიზიკის ხელსაწყო-იარაღების კარადები მოთავსებულია საკლასო ოთახში, სადაც მოსწავლეთა სამუშაო მაგიდების ნაცვლად მერხები დგას, რაზეც ექსპერიმენტული მუშაობის ნორმალურად ჩატარება შეუძლებელია.

სკოლა-ინტერნატების ქიმიის, ფიზიკის, ბუნებისმეტყველების სასწავლო კაბინეტები საჭიროებენ შევსებას თვალსაჩინო იარაღ-ხელსაწყოებით და რეაქტივებით.

არც ერთ სკოლა-ინტერნატში არაა მოწყობილი გეოგრაფიის მოედანი და არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოები.

გუმათისა და ბროწეულას სკოლა-ინტერნატებში არ არის მოწყობილი სასწავლო სახელოსნოები. აქ სასწავლო სახელოსნოებში

პრაქტიკული მეცადინეობისათვის პროგრამით გათვალისწინებული საათები მთლიანად დათმობილი აქვს პრაქტიკულ მეცადინეობას სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეთანიის სკოლა-ინტერნატში დაბალ დონეზე დგას პრაქტიკული მეცადინეობა სასწავლო სახელოსნოებში. სახელოსნოებში არაა საჭირო სამუშაო მასალა და იარაღები.

თეთრი წყაროს სკოლა-ინტერნატში არ ტარდება ბიოლოგიის სწავლებასთან დაკავშირებული ცდა-დაკვირვებანი, მოსწავლეებს არა აქვთ პრაქტიკული ხასიათის ცოდნა-ჩვევები. ძალზე დაბალ დონეზე დგას სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის სწავლება VIII კლასში. მასწავლებელი ტ. ჩიგოგიძე არ იცნობს სასწავლო პროგრამას. თემას „ნიადაგის აგრონომიული თვისებები" ნაცვლად 6 საათისა მან დაუთმო 14 საათი. ამის შედეგად მასალის გავლაში იგი 16 საათით ჩამორჩება. მასწავლებელი სრულიად არ ატარებს პრაქტიკულ სამუშაოებს. მე-8 კლასის მოსწავლეებმა სუსტად იციან ნიადაგის მექანიკური შედგენილობა, სტრუქტურა; მათ წარმოდგენა არა აქვთ ნიადაგის ნაყოფიერებისა და მისი აღდგენის საშუალებებზე, ვერ ერკვევიან ნიადაგის ტიპებში და სხვ.

თეთრი წყაროს, გუმათის, ბროწეულას სკოლა-ინტერნატებში დაქუცმაცებულია საათები ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში. თეთრი წყაროს სკოლა-ინტერნატის დირექტორი პ. მალანია და სასწავლო ნაწილის გამგე ლ. ჯინჯიხაია ბეთანიის სკოლა-ინტერნატის დირექტორი ა. სვანიძე და სასწავლო ნაწილის გამგე გ. გოცირიძე იშვიათად ესწრებიან პოლიტექნიკური ციკლის საგნების მასწავლებლებს გაკვეთილებზე და საჭირო დახმარებას არ უწევენ მათ მუშაობაში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) უზრუნველყონ სასწავლო სახელოსნოებისა და სასწავლო კაბინეტების ხელსაწყო-იარაღებით, სამუშაო მასალებით და რეაქტივებით შევსება; ბროწეულასა და გუმათის სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა მ. ინასარიძემ და გ. ფრუიძემ ქმედითი ღონისძიება გაატარონ სასწავლო სახელოსნოების დროულად და სათანადოდ მოსაწყობად;

ბ) მიაღწიონ სასწავლო-საცდელი ნაკვეთების კეთილმოწყობასა და მათზე პროგრამით გათვალისწინებული ყველა პრაქტიკული სამუშაოს ჩატარებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გააძლიერონ კანტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე, სისტემატურად დაესწრონ მასწავლებლებს გაკვეთილებზე და მიაღწიონ მათი პედაგოგიური დახელოვნების სრულყოფას და სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას;

დ) იმგვარად წარმართონ მუშაობა, რომ თითოეული მასწავლებელი საფუძვლიანად ემზადებოდეს ყოველი გაკვეთილისათვის; უზრუნველყოფილ იქნას პროგრამით გათვალისწინებული ცდებისა და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება; ფართოდ დანერგონ მოსწავლეებში სასწავლო ხელსაწყოების თვითკეთების საქმე;

ე) ჩამოაყალიბონ სკოლა-ინტერნატებში ნორჩ ქიმიკოსთა, ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ნატურალისტთა წრეები და უზრუნველყონ მათი ნაყოფიერი მუშაობა;

ვ) მიიღონ ქმედითი ზომები დაწყებით კლასებში ხელგარჯილობის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად, ხელგარჯილობის გაკვეთილები შეავსონ კლასგარეშე და პიონერული რაზმის მუშაობით; ამ მიზნით ჩამოაყალიბონ „ხელმარჯვეთა“ წრეები;

ზ) აღსაზრდელებში ფართოდ დანერგონ საყოფაცხოვრებო შრომის ჩვევები;

თ) განსაკუთრებული დახმარება გაუწიონ ამ ბრძანებაში მოხსენებულ სუსტად მომუშავე მასწავლებლებს და, თუ ისინი ვერ შესძლებენ მუშაობის არსებითად გაუმჯობესებას, სასწავლო წლის დასასრულს დააყენონ საკითხი სამუშაოდან მათი განთავისუფლების შესახებ;

ი) მომავალში არ დაუშვან მასწავლებელთა შორის საათების დაქუცმაცების პრაქტიკა.

2. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (გ. ასპინძელაშვილი) უზრუნველყოს ზაფხულის არდადეგების პერიოდში სკოლა- ინტერნატების პოლიტექნიკური ციკლის საგნების მასწავლებელთა გადამზადება.

3. სკოლების სამმართველომ (გ. საყვარელიძე) და სახელმძღვანელოების და მეთოდიკის განყოფილებამ (დ. ჯავახია) სკოლა-ინტერნატების დირექტორებთან ერთად შეიმუშაონ ღონისძიება სკოლა-ინტერნატებში ახალი სასწავლო წლიდან საწარმოო სწავლების პროფილის შესახებ და თავიანთი წინადადებანი წარმოადგინონ ორი კვირის ვადაში.

4. საგნის სწავლების ცუდად დაყენებისათვის გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური ბეთანიის სკოლა-ინტერნატის III კლასის მას-

წავლებელს ა. გოზალიშვილს, ბიოლოგიის მასწავლებელს ა. ია-
შვილს და თეთრი წყაროს სკოლა-ინტერნატის სოფლის მეურნეო-
ბის პრაქტიკუმის მასწავლებელს ტ. ჩიგოგიძეს.

5. სკოლების სამმართველომ (გ. საყვარელიძე) თვალყური ადევ-
ნოს ამ ბრძანების შესრულებას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1958 წლის 21 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 190

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი
1958 წლის 1 მარტი

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებათა 1957 წლის შედეგებისა და 1958 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ

გავეცანი რა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ 1957 წელს მოწყობილი დახელოვნების კურსების მუშაობის შედეგებს, აღვნიშნავ, რომ გასულ წელს ინსტიტუტმა წარმატებით ჩაატარა განათლების მუშაკთა (მასწავლებლების, სკოლის დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეების, სასკოლო ინსპექტორების, ლოგოპედების, სკოლა-ინტერნატების აღმზრდელ-მასწავლებელთა და სხვ.) დახელოვნების კურსები და საგრძნობლად აამაღლა ლექციური და პრაქტიკული მუშაობის ხარისხი. ინსტიტუტმა 105%-ით შეასრულა დახელოვნების კურსების მსმენელთა კონტინგენტის 1957 წლის გეგმა (დახელოვნების კურსები გაიარა 4.408 მუშაკმა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 4.200-სა).

განათლების მუშაკთა წინაშე დაყენებული ახალი ამოცანების შესაბამისად ინსტიტუტმა გადაამუშავა დახელოვნების კურსების სასწავლო გეგმები და პროგრამები, გაზარდა პრაქტიკული მუშაობის საათების რაოდენობა, მეტი ყურადღება მიაქცია გამოცდილების ურთიერთგაზიარებასა და მსმენელთა წარმატების შემოწმებაშეფასებას. შრომისა და პრაქტიკუმების მაწავლებელთა დახელოვნების კურსების ხანგრძლივობა გაზარდა ერთი თვიდან თვენახევრამდე. დროულად აცნობა განათლების განყოფილებებს კურსების მუშაობის საჭეები, მუშაობის დრო, ადგილი და კონტინგენტის გეგმა.

აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტმა განსაკუთრებით ქმედითი დახ-

მარება გაუწია პოლიტექნიკური სწავლების ციკლის დისციპლინების მასწავლებლებს და უზრუნველჰყო 1367 მასწავლებლის მომზადება-გადამზადება. პირველად მოაწყო ლოგოპედების, საბავშვო ბაღების მუსიკის მასწავლებლების, მუშა ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეთა, ამავე სკოლების მათემატიკის და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა დახელოვნების კურსები.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული არაქართული სკოლების მასწავლებელთა დახელოვნების მიზნით ინსტიტუტმა გადაამზადა რუსული სკოლების 420, აფხაზური სკოლების 82, ოსური სკოლების 89, სომხური სკოლების 75 და აზერბაიჯანული სკოლების 54 მასწავლებელი.

ინსტიტუტმა გააუმჯობესა დახელოვნების კურსების ლექტორ-მასწავლებელთა შემადგენლობა. ინსტიტუტის აქტივის შემადგენლობაში გასულ წელს შედიოდა 384 განათლების მუშაკი. მათ შორის — 8 პროფესორი, 62 დოცენტი, 79 დამსახურებული მასწავლებელი და მეთოდისტი და 235 პრაქტიკოსი მასწავლებელი.

აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ცაგერის, აბაშის, ზესტაფონის, ცხაკაიას, საგარეჯოს, დუშეთის, წალენჯიხის, წყალტუბოს, საჩხერის და სხვა რაიონების განათლების განყოფილებებმა გააძლიერეს ზრუნვა სკოლის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და უზრუნველჰყვეს დახელოვნების კურსების მსმენელთა კონტინგენტის სწორად შერჩევა და ყველა სახის კურსებზე მათი დროულად მივლინება.

საკურსო ღონისძიებათა ჩატარების საქმეში ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებსაც:

დახელოვნების კურსების მსმენელთა კონტინგენტის 1957 წლის საერთო გეგმის გადაჭარბებით შესრულების მიუხედავად, ბოგდანოვკის, დმანისის, ახალციხის, წალკის, ორჯონიკიძის, გეგეჭკორის, ბოლნისის, ფოთის, ყაზბეგის, ჩხოროწყუს და სხვა რაიონების განათლების განყოფილებებმა ვერ უზრუნველჰყვეს მათ მიერ მოთხოვნილი დახელოვნების კურსების მსმენელთა კონტინგენტის გეგმის შესრულება და იმ მუშაკთა მიმართ საჭირო ზომების მიღება, რომლებმაც თავი აარიდეს კურსებზე წასვლას.

ლენინგორის, ოჩამჩირის, დმანისის, ასმეტისა და სხვა რაიონების განათლების განყოფილებების მხრივ ადგილი ჰქონდა კურსებზე მი-

საგლინებელი მუშაკების არასწორად შერჩევასა და კურსებზე მსმენელთა დაგვიანებით გამოცხადების შემთხვევებს.

კურსებზე ზოგიერთი მსმენელის არასაკმაო მონდომებით დაბალი მოამზადების დაბალი დონით აიხსნება ის გარემოება, რომ გასულ წელს დახელოვნების კურსები ვერ დაამთავრა 124 მსმენელმა.

აღსანიშნავია ცალკეული კურსების სასწავლო გეგმებისა და პროგრამების გადატვირთვა, რის გამოც სასწავლო კვირის ზოგიერთ დღეებში დატვირთვა 6 საათს აღემატებოდა.

ზოგიერთი კურსები სათანადოდ არ იყო უზრუნველყოფილი მეთოდური და პერიოდული ლიტერატურით, ხელსაწყო-იარაღებითა და მასალებით, საჭირო ინვენტარითა და კომუნალური მომსახურეობით.

განათლების მუშაკთა დახელოვნების კურსების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორს ამხ. გ. ასპინძელაშვილს:

ა) 1958 წელში დახელოვნების კურსების მოწყობით გადაამზადოს 4.500 მასწავლებელი და განათლების სხვა მუშაკი თანდართული განრიგის მიხედვით (№ 1, № 2, № 3, № 4);

ბ) სკოლის წინაშე დაყენებული ამოცანების შესაბამისად გადაამუშაოს დახელოვნების კურსების სასწავლო გეგმები და პროგრამები და წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს დასამტკიცებლად, კურსების სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში განსაკუთრებული ადგილი დაეთმოს სპეციალური საგნების მეთოდიკის საკითხებს, გაიზარდოს გამოცდილების ურთიერთ გაზიარებისა და მსმენელთა ცოდნის შემოწმება-შეფასებისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობა;

გ) მტკიცე კონტროლი დააწესოს კურსების მუშაობაზე, გააუმჯობესოს ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობის ხარისხი, კურსებზე ლექტორებად გამოიყენოს სასკოლო მუშაობის გამოცდილების მქონე პროფესორ-მასწავლებლები და სკოლის მოწინავე მუშაკები, უზრუნველჰყოს კურსები სათანადო დოკუმენტაციით;

დ) დროულად აცნობოს განათლების ადგილობრივ ორგანოებს კურსების სახეები. მუშაობის ადგილი, დრო და კურსებზე მოსაგლინებელი კონტინგენტის გეგმა; განსაკუთრებული ყურადღება მიაქცი-

ოს სკოლა-ინტერნატების აღმზრდელ მასწავლებელთა გადამზადებას;

ე) მიიღოს საჭირო ზომები ინსტიტუტის სადურგლო-სახელოსნოს და მანქანათმცოდნეობის კაბინეტის მოწყობის დროულად დამთავრებისათვის;

ვ) გაატაროს სათანადო ღონისძიებანი დახელოვნების კურსების მსმენელთა საცხოვრებელი ბინებით, სამეცადინო ოთახებით, სასწავლო ხელსაწყო-იარაღებით, დიდაქტიკური მასალებით უზრუნველყოფისა და მათი კვების საკითხის გაუმჯობესებისათვის;

ზ) განათლების სამინისტროს წარმოუდგინოს ცნობები კურსების მუშაობაში გამოვლინებულ სუსტ და სკოლისათვის შეუფერებელ მასწავლებელთა შესახებ მათ მიმართ სათანადო ზომების მისაღებად;

თ) ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს ინსტიტუტის ქუთაისისა და სოხუმის ფილიალებს საკურსო ღონისძიებათა გეგმის წარმატებით შესრულების საქმეში.

2. აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ განათლების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს; გულდასმით შეარჩიონ კურსებზე გასაგზავნი კონტინგენტი; ზუსტად დაიცვან განათლების სამინისტროს მითითებანი მსმენელთა შერჩევის, მომზადებისა და მათი მივლინების შესახებ; უზრუნველჰყონ 1958 წლის საკურსო ღონისძიებათა გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტის შესრულება;

ბ) ყურადღება მიაქციონ მსმენელთა კურსებზე დროულად მივლინებას. კურსების მუშაობის დაწყებიდან ორი დღის განმავლობაში შეამოწმონ მსმენელთა გამოცხადება და მკაცრი სასჯელი დაადონ იმ მუშაკებს, რომლებიც თავს არიდებენ კურსებზე წასვლას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განათლების სამინისტროს წინაშე დააყენონ საკითხი პედაგოგიური სამუშაოდან მათი განთავისუფლების შესახებ;

გ) უზრუნველჰყონ მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისა და მისი ფილიალების მიერ მოწყობილი კურსები სამეცადინო ოთახებით, საცხოვრებელი ბინებით, ინვენტარითა და საჭირო კაბინეტ-ლაბორატორიებით.

3. მუშაობიდან მოწყვეტით მოწყობილ დახელოვნების კურსებზე გაგზავნილი მასწავლებლის ნაცვლად განათლების განყოფილებამ დანიშნოს (დროებით) შემცვლელი მასწავლებელი და აუნაზღაუროს მათ გადაცემული გაკვეთილების საფასური. იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელი ხდება იმავე საგანში შემცვლელი მასწავლებლის გამონახვა, კურსებზე მყოფი მასწავლებლის გაკვეთილები უნდა გადაეცეს სხვა მასწავლებელს (ან მასწავლებლებს) თავიანთ საგანში (ან საგნებში) გამოსაყენებლად. კურსებიდან დაბრუნებულმა მასწავლებელმა უნდა ჩაატაროს თავისი გაკვეთილებიც, წინა თვის საათებიც და ხელფასი აუნაზღაურდეს ორმაგად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების დირექტორებს ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა და მის ფილიალებს პროფესორ-მასწავლებლებით კურსების უზრუნველყოფის საქმეში.

5. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინასო სამმართველოს (ამხ. ალ. კვაჭაძეს) დროულად დააფინანსოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი და მისი ფილიალები ამ ბრძანებით გათვალისწინებული კურსებისათვის საჭირო თანხებით.

6. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებას (ამხ. ს. არველაძეს) ა/წლის პირველ მაისამდე უზრუნველჰყოს ინსტიტუტი კურსებისათვის საჭირო ინვენტარით, კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის აუცილებელი ხელსაწყო-იარაღებით და სხვა საჭირო მასალებით, ინსტიტუტებისათვის განკუთვნილი თანხების ფარგლებში.

7. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას (ამხ. ალ. ღადუას) გამოუყოს ინსტიტუტს სადურგლო-სახელოსნოსა და მანქანათმშენებლობის კაბინეტის მოსაწყობად მასალები და ა/წ. პირველ აპრილამდე უზრუნველჰყოს საჭირო სარემონტო სამუშაოთა ჩატარება.

8. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის“ რედაქციებმა პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები დახელოვნების კურსების მუშაობის შესახებ.

9. აღნიშნული ბრძანება განხილული იქნეს განათლების განყო-

ფილებების სახალხო განათლების საბჭოს სხდომებსა და სკოლის დირექტორების თათბირებზე.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრებს განყოფილებამ დააწესოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 28 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სკოლების მასწავლებელთა დახელოვნების კურსების მოწყობის გეგმა 1958 წლის განმავლობაში

(მუშაობიდან მოუწყვეტლივ)

კურსების დასახელება	ჯგ. რაოდ.	მსმენ. კონტ.	მუშაობის დრო	მუშაობის ადგილი
1. საბავშვო ბაღის აღმზრდელთა	1	30	I—III	ბათუმი
2. ქართული სკ. დაწყ. კლ. მასწავლებელთა	1	30	I—III	„
3. რუსული სკ. დაწყ. კლ. მასწავლებელთა	1	30	I—III	„
4. არარუსული სკ. დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებელთა	1	30	I—III	„
5. მათემატიკის მასწავლებელთა	1	30	I—III	გორი
6. ქ. თბილისის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელ მასწავლებელთა	1	20	I—II	თბილისი
7. ქართული სკ. დაწ. კლ. მასწავლებელთა	2	60	III—V	„
8. რუსული სკ. დაწ. კლასის მასწავლებელთა . . .	1	30	III—V	„
9. არაქართული სკ. მათემატიკის მასწავლებელთა . . .	1	30	III—V	„
10. ქართული სკ. V—VII კლასების მათემატიკის მასწავლებელთა	1	30	IX—XII	„
11. ფიზიკისა და ელექტროტექნიკის პრაქტიკუმის მასწავლებელთა	1	30	IX—XII	„
12. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა (ქართული სკ.)	1	30	IX—XII	„
13. არაქართული სკ. რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა	1	30	IX XII	„
14. გორდის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელთა	1	20	„	„
სულ	15	430		

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სკოლების მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების მოწყობის გეგმა 1958 წლის განმავლობაში (მუშაობიდან მოწყვეტით)

კურსების დასახელება	ჯგ. რაოდ.	მსმენ. კონტ.	მუშაობის დრო	მუშაობის ადგილი
1. შვიდწლიანი და საშ. სკ. სასწ. ნაწილის გამგეების . . .	4	120	III-IV	თბილისი
შვიდწლიანი და საშ. სკ. სასწ. ნაწილის გამგეების (რუსული ჯგ.)	1	30	IV	„
2. სასკოლო ინსპექტორების .	1	30	IV	„
3. მუშა ახალგაზრდობის საშ. სკოლის რუსული ენისა და ლიტ. მასწავლებლების . .	1	30	IV	თბილისი
4. შრომის მასწავლებლების . .	1	30	III-IV	„
„ „	1	30	„	ქუთაისი
5. დაწყ. კლ. მასწავლებელთა ხელგარჯილობაში დახელოვნების	2	60	„	ქუთაისი
დაწყ. კლ. მასწავლებელთა ხელგარჯილობაში დახელოვნების	1	30	III	თბილისი
6. არაქართული სკ. ფიზიკისა და ელექტროტექნიკის პრაქტიკუმის მასწავლებლების	1	30	III-IV	„
7. ფიზიკისა და ქიმიის ლაბორანტების	1	30	V	„
ფიზიკისა და ქიმიის ლაბორანტების	2	60	IX	ქუთაისი
8. საბავშვო ბაღების გამგეების	1	30	V	„
9. საბავშვო ბაღების აღმზრდელების	2	60	V	„
საბავშვო ბაღის აღმზრდელების	1	30	V	თბილისი
10. სასკოლო ბიბლიოთეკარების	2	60	V	„
„ „	1	30	IX	ქუთაისი

კურსების დასახელება	ჯგ. რაოდ.	მსმენ. კონტ.	მუშაობის დრო	მუშაობის ადგილი
11. კინო-დემონსტრატორების .	2	60	IX	თბილისი
12. შვიდწლიანი და საშუალო სკ. დირექტორების	4	120	X-XI	„
შვიდწლიანი და საშუალო სკ. დირექტორების (რუ ს ულ ი ჯგ.)	1	30	XI	„
13. სომხური და აზერბაიჯანული სკოლების რუსული ენისა და ლიტ. მასწავლებლების	1	30	X	„
14. არაქართული სკოლების ქიმიის მასწავლებლების . . .	1	30	X	„
15. მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმის მასწავლებლების .	1	30	XI-XII	„
მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმის მასწავლებლების . . .	1	30	„	ქუთაისი
სულ . .	34	1020		

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა დახელოვნების კურსების მოწყობის გეგმა 1958 წლის ზაფხულის პერიოდში

კურსების დასახელება	ჯგ. რაოდ.	მსმენ. კონტ.	მუშაობის დრო	მუშაობის ადგილი
1. ქართული სკ. დაწყ. კლ. მასწავლებელთა	2	60	VI	სურამი
ქართული სკ. დაწყ. კლ. მასწავლებელთა	3	90	„	თელავი
ქართული სკ. დაწყ. კლ. მასწავლებელთა	4	120	„	ქუთაისი
2. რუსული სკ. დაწყ. კლ. მასწავლებელთა	4	120	„	თბილისი
3. სომხური სკ. დაწყ. კლ. მასწავლებელთა	2	60	„	ახალქალაქი
4. აზერბაიჯანული დაწყ. კლ. მასწავლებელთა	1	30	„	მარნეული
5. აფხაზური სკ. დაწყ. კლ. მასწავლებელთა	1	30	„	გუდაუთი
6. ოსური სკ. დაწყ. კლ. მასწავლებელთა	1	30	„	სტალინირი
7. არარუსული სკ დაწყ. კლასების რუსული ენის მასწავლებელთა	2	60	„	თბილისი
არარუსული სკ. დაწყ. კლასების რუსული ენის მასწავლებელთა	2	60	„	ქუთაისი
8. ორ და მეტ კლასთან ერთდრ. მომუშავე მასწავლებელთა .	2	60	„	ბორჯომი
ორ და მეტ კლასთან ერთდრ. მომუშავე მასწავლებელთა .	2	60	„	ქუთაისი
სულ . . .	26	780		

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ შვიდწლიანი და საშუალო სკოლების მასწავლებელთა დახელოვნების კურსების მოწყობის გეგმა 1958 წლის ზაფხულის პერიოდში

კურსების დასახელება	ჯგ. რაოდ.	მსმენ. კონტ.	მუშაობის დრო	მუშაობის ადგილი
1 ქართული ენისა და ლიტ. მასწავლებელთა (ქართ. სკოლების)	4	120	VII	ბორჯომი
ქართული ენისა და ლიტ. მასწავლებელთა (ქართ. სკოლების)	4	120	„	ქუთაისი
2. ქართული ენის და ლიტ. მასწავლებელთა (არაქართული სკ.)	2	60	„	სტალინირი
3. რუსული ენისა და ლიტ. მასწავლებელთა (არარუსული სკ.)	5	150	„	გუდაუთი
რუსული ენისა და ლიტ. მასწავლებელთა (არარუსული სკ.)	3	90	„	წყალტუბო
4. რუსული ენისა და ლიტ. მასწავლებელთა (რუსული სკ.)	4	120	„	სოხუმი
5. სომხური ენისა და ლიტ. მასწავლებელთა	1	30	„	ახალქალაქი
6. გერმანული ენის მასწავლებელთა	2	60	„	თბილისი
გერმანული ენის მასწავლებელთა	2	60	„	ქუთაისი
(რუსული ჯგ.) . .	1	30	„	თბილისი
7. ინგლისური ენის მასწავლებელთა	2	60	„	თბილისი
8. ფრანგული ენის მასწავლებელთა	1	30	„	თბილისი
9. ისტორიის მასწავლებელთა .	2	60	„	სურამი
ისტორიის მასწავლებელთა .	3	90	„	ქუთაისი
(რუსული ჯგ.) .	1	30	„	სურამი
10. გეოგრაფიის მასწავლებელთა	2	60	„	ბორჯომი
გეოგრაფიის მასწავლებელთა . (რუსული გჯ.) .	2	60	„	ქუთაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურსების დასახელება	ჯგ. რაოდ.	მსმენ. კონტ.	მუშაობის დრო	მუშაობის ადგილი
11. მათემატიკის მასწავლებელთა	4	120	„	ბათუმი
მათემატიკის მასწავლებელთა	4	120	„	ქუთაისი
მათემატიკის მასწავლებელთა (რუსული ჯგ.)	1	30	„	ბათუმი
მათემატიკის მასწავლებელთა (რუსული ჯგ)	1	30	„	სოხუმი
მათემატიკის მასწავლებელთა (სომხური ჯგ.)	1	30	„	ახალქალაქი
12. ქიმიის მასწავლებელთა . .	2	60	„	თბილისი
13. ხატვა-ხაზვის მასწავლებელთა	1	30	„	სურამი
14. მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელთა .	1	30	1/5-15/7	თბილისი
15. შრომის მასწავლებელთა . .	1	30	1/5-15/7	თბილისი
16. ფიზიკის და ელექტროტექნიკის პრაქტიკ. მასწავლებელთა	2	60	1/7-15/8	„
ფიზიკისა და ელექტროტექნიკის პრაქტიკ. მასწავლებელთა	2	60	„	ქუთაისი
17. ბიოლოგიისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელთა . . .	2	60	1/7-15/8	თელავი
ბიოლოგიისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელთა . . .	2	60	„	ქუთაისი
ბიოლოგიისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელთა (რუსული ჯგ.)	1	30	„	თელავი
18. სოფლის მეურნეობის პრაქტიკ) მასწ-თა . . .	1	30	15/V-1/7	თბილისი
სოფლის მეურნეობის პრაქტიკ. მასწ-თა .	1	30	„	ქუთაისი
19. სამხედრო მომზადების მასწავლებელთა . .	1	30	VI	თბილისი
სამხედრო მომზადების მასწავლებელთა . . .	1	30	„	ქუთაისი
20. ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა	2	60	VI	თბილისი
ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა . .	2	60	VI	ქუთაისი
ფიზიკური აღზდრის მასწავლებელთა (რუსული ჯგ.)	1	30	„	თბილისი
სულ . . .	76	2280		

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 207

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წ. 4 მარტი

საქართველოს სსრ დაწყებითს, შვიდწლიანსა და საშუალო სკოლებში საგაზაფხულო არდადეგების ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სსრ დაწყებითს, შვიდწლიანსა და საშუალო სკოლებში საგაზაფხულო არდადეგები ჩატარდეს 1958 წლის 24 მარტიდან I აპრილამდე ჩათვლით. სკოლებში მეცადინეობა შეწყდეს შაბათს, 22 მარტს გაკვეთილების შემდეგ და განახლდეს 2 აპრილს, ოთხშაბათს.

2. სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა):

ა) 25 მარტისათვის შეაჯამონ სასწავლო წლის III მეოთხედის შედეგები, დასახონ ქმედითი ღონისძიებანი მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ამაღლების, პოლიტექნიკური სწავლების მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცებისა და დისციპლინის ჯკვეთრად გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად;

ბ) 26—27 მარტს ყველა სკოლაში ჩაატარონ მშობელთა კრებები, გააცნონ მათ მოსწავლეთა მოსწრების შედეგები და დასახონ ერთობლივი ღონისძიებანი მოსწავლეთა ყოფაქცევისა და წარმატების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. კლასის ხელმძღვანელებმა ამ კრებებზე უზრუნველყონ მშობლებისათვის მოსწავლეთა ყოფაქცევისა და წარმატების მოწმობების დარიგება;

გ) გაშალონ სათანადო მუშაობა გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების მაღალ დონეზე ჩასატარებლად და სასწავლო წლის წარმატებით დასამთავრებლად;

დ) გასული სასწავლო წლის XI კლასის მოსწავლეები, რომლებმაც ვერ მიიღეს სიმწიფის ატესტატი და უფლება აქვთ წელს ჩააბარონ გამოცდები, გააფრთხილონ იმის შესახებ, რომ მათ აღარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეთხოვებათ წინასწარ ჩააბარონ გამოცდები იმ საგნებში, რომლებშიც წლიური არადამაკმაყოფილებელი ნიშანი ჰქონდათ;

ე) განუმარტონ X-XI კლასების მოსწავლეებს, რომ მიმდინარე სასწავლო წლიდან გაუქმებულია უფრო მაღალი შეფასების მიღების მიზნით განმეორებით გამოცდებზე იმ მოსწავლეთა დაშვების უფლება, რომლებსაც სიმწიფის ატესტატში შესატან არასაგამოცდო საგნებში აქვთ შეფასება „3“ ან „4“;

ვ) წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით უზრუნველყონ მოსწავლეთა გონივრული დასვენება და კულტურული გართობის ორგანიზაცია არდადეგების პერიოდში;

ზ) სკოლის ექიმის და ადგილობრივი სამედიცინო პერსონალის დახმარებით ჩაატარონ საკლასო ოთახების, კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სასწავლო სახელოსნოების დეზინფექცია; უზრუნველყონ სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1955 წლის 23 სექტემბერს დამტკიცებული დებულების შესაბამისად სასკოლო შენობებისა და სკოლის კარმიდამოს წესრიგზე მოყვანა.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 222

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი
1958 წლის 7 მარტი

ახმეტის, თელავის, ჭიათურის, ზუგდიდის, ზესტაფონის რაიონულ, ჭიათურის საქალაქო განათლების განყოფილებებსა და სკოლებში მასწავლებელთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანისა და დათხოვნის საქმის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ თელავის, ჭიათურის, ზუგდიდისა და ზესტაფონის რაიონების განათლების განყოფილებებში მოგვარებულია მასწავლებელთა პირადი საქმეები; აღკვეთილია განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე სკოლებში მასწავლებელთა გაგზავნის პრაქტიკა და სხვ.

მიუხედავად ამისა, კადრებთან მუშაობის დარგში ახმეტის, თელავის, ჭიათურის, ზუგდიდის და ზესტაფონის რაიონების, აგრეთვე ქ. ჭიათურის განათლების განყოფილებებს აქვთ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

ქ. ჭიათურისა და ახმეტის რაიონის განათლების განყოფილებებსა (ამხ. ამხ. თ. მოდებაძე და აკ. რეხვიაშვილი) და სკოლებში არ არის წერილში მოყვანილი მასწავლებელთა პირადი საქმეები. სრულიად მოუწესრიგებელია ახმეტის რაიონის ოჟიოსა და ქისტაურის საშუალო სკოლების (დირექტორები ა. მანველიშვილი და ს. ხოსიაშვილი) მასწავლებელთა პირადი საქმეები. ახმეტის რაიონის მასწავლებელთა დიდ ნაწილს, აგრეთვე ქ. ჭიათურის 1-ლ და რუსული საშუალო სკოლების (დირექტორები კ. სამყურაშვილი და ს. კორნიენკო) ექვს-ექვს მასწავლებელს სრულიად არ აქვთ შექმნილი პირადი საქმე.

თელავის, ჭიათურის, ზუგდიდისა და ზესტაფონის რაიონების სკოლებში მოუწესრიგებელია მასწავლებელთა პირადი საქმეები.

სრულიად არ აღმოაჩნდა პირადი საქმეები თელავის რაიონის (განათლების განყოფილების გამგე ამხ. ა. ნადაშვილი) წინანდლის საშუალო სკოლის (დირექტორი შ. ანთელავა) 6 მასწავლებელს. ქ. ზუგდიდის (განათლების განყოფილების გამგე ამხ. ჭითანავა) მე-7 საშუალო სკოლის (დირექტორი შ. ანთელავა) 6 მასწავლებელს.

სკოლებს არ აქვთ არავითარი ცნობები იმის შესახებ, რომ შეთავსებით მომუშავე მასწავლებელთა პირადი საქმეები მათ ძირითად სამუშაო ადგილზე ინახება.

ჭიათურის რაიონის (განათლების განყოფილების გამგე ამხ. ხ. კაპანაძე) ნიგოზეთის საშუალო სკოლის (დირექტორი ა. ლომიძე) 12 მასწავლებელს არ აღმოაჩნდა შრომის წიგნაკი. 1957 წლის 13 ნოემბრისათვის ახმეტის რაიონის 6 სკოლაზე გადაცემულიც კი არ იყო მასწავლებელთა შრომის წიგნაკები. ამ დოკუმენტების წარმოება პოუწესრიგებელია ქ. ზესტაფონის (განათლების განყოფილების გამგე ამხ. მ. სარალიძე) მე-2 საშუალო სკოლაში (დირექტორი მ. ჩიქოვანი).

ხშირ შემთხვევაში პირადი საქმეები არ შეიცავს ყველა საჭირო მასალას. ქ. თელავის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელ ჩომახიძის პირად საქმეში მხოლოდ დიპლომის ასლი, დანიშვნის შესახებ ბრძანება და ავტობიოგრაფია ინახება. კიდევ უფრო ღარიბია ამავე სკოლის მასწავლებელ გ. ბილანიშვილის პირადი საქმე, სადაც დიპლომის ასლისა და ავტობიოგრაფიის გარდა სხვა დოკუმენტი არ აღმოჩნდა. ზოგ შემთხვევაში პირად საქმეში ინახება უკვე ძალადაკარგული საბუთი. ასე, მაგალითად ქ. ჭიათურის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებლებზე—ვ. მატჩინასა და ნ. ფარქოსაძეზე სახელმწიფო პედინსტიტუტის მიერ 1946 და 1951 წლებში გაცემული ცნობები კურსის დამთავრების შესახებ, ახლაც დაცულია მათ პირად საქმეებში.

ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილებაში შევსებული არ აღმოჩნდა სპეციალისტის ბარათები (ფორმები № 206, № 210) უმაღლესი და საშუალო სკოლების მქონე ყველა მასწავლებელზე. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ზესტაფონის, ახმეტის რაიონების, აგრეთვე ქ. ჭიათურის ზოგიერთ საშუალო სკოლაშიც.

ზემოხსენებული რაიონების ზოგიერთი სკოლის მასწავლებელთა პირად საქმეებში წლების განმავლობაში არ არის შეტანილი ცნობები მათ მუშაობაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ.

ქ. ზესტაფონის ყოფილ ქალთა მე-2 საშუალო სკოლის დირექტორად 1951 წლის 3 აგვისტოდან მუშაობს მ. ჩიქოვანი. პირად საქმეში არ ჩანს, რომ ქალვაჟთა ცალ-ცალკე სწავლების გაუქმების შემდეგ მ. ჩიქოვანი დაინიშნა ქალაქის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორად. ასევე გაუფორმებელია ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის გ. ბაშალეიშვილის, ქ. თელავის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორ ნ. გურგენიძისა და სხვათა განმეორებით დანიშვნა, გადაკეთებული სკოლების ხელმძღვანელ სამუშაოებზე.

ქ. ჭიათურის რუსულ საშუალო სკოლაში ინახება მასწავლებლების—ვ. ლაბაძის, პ. არჩვაძის, გ. ღვალაძის, ვ. ოგანეზოვის, ქ. ქაჯაიას, ნ. მირზაშვილის და ილიაშევიჩის პირადი საქმეები, თუმცა ისინი აქ უკვე აღარ მუშაობენ;

ნაფარეულის საშუალო სკოლის ინგლისური ენის ყოფილი მასწავლებელი ამჟამად ქ. თელავის 1-ლ სკოლაში მუშაობს, მაგრამ ბრძანება მისი აღნიშნულ სკოლაში გადაყვანის შესახებ არ არსებობს. ქ. თელავის მე-2 საშუალო სკოლაში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1949 წლის 20 მაისის № 1003 ბრძანებით დაწყებითი კლასის მასწავლებლად დაინიშნა მ. ზარიძე, იგი ამჟამად IX კლასში ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას ისე, რომ სათანადო ბრძანება არ არსებობს და სხვ.

მასწავლებელთა პირადი საქმეები არც სხვა ხასიათის ნაკლოვანებებისაგან არის თავისუფალი. ასე, მაგალითად, ზოგჯერ დოკუმენტი უწიგნურადაა შედგენილი. პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა არ დასტურდება ბეჭდის დასმით და სხვ.

ახმეტის რაიონის განათლების განყოფილება თვითნებურად უშვებს სამუშაოზე მასწავლებლებს და თვით განათლების განყოფილების ინსპექტორსაც ეკ. მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისიდან ახმეტის საშუალო და 7-წლიან სკოლებში განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე მუშაობს ფიზკულტურის მასწავლებლად ოლია ბუნტური; განყოფილებამ საბავშვო ბაღებში აღმზრდელებად დანიშნა ზოგადი საშუალო განათლების მქონე ი. რუსიშვილი და ა. ჭუაძე, რომელთაც პედაგოგიური მუშაობის სტაჟი სულ არ გააჩნიათ. პედსასწავლებლის კურსდამთავრებული, 14 წლის პედსტაჟის მქონე ამხ. ც. ქიტაშვილი კი უადგილოდ დატოვა. განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე მუშაობს აგრეთვე განყოფილების სასკოლო ინსპექტორად ამხ. აზანაშვილი, რომელსაც როგორც რუ-

სული ენის არასპეციალისტს ამ დარგში ინსპექტორად დანიშვნაზე სამინისტროს მიერ უარი ეთქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი რაოდენობით მუშაობენ საშუალო სკოლების VIII—XI კლასებში უმაღლესი სპეციალური განათლების არ მქონე მასწავლებლები, ასე, მაგალითად, მარტო ზესტაფონის რაიონის საშუალო სკოლების VIII—XI კლასებში მუშაობს 33 უდიპლომო მასწავლებელი; აქედან კვალითის საშუალო სკოლაში—7, როდინაულისა და ბოსლევის საშუალო სკოლებში კი — 4—4 მასწავლებელი და სხვა.

ზემოხსენებულ რაიონებში საკმაო ყურადღება არ ექცევა განათლების სამინისტროს დირექტივის გატარებას საშუალო და 7 წლ. სკოლებში ხელმძღვანელობის სხვადასხვა სპეციალობის მუშაკებით დაკომპლექტების შესახებ.

აღნიშნული და მსგავსი ნაკლოვანებანი განათლების განყოფილებებსა და სკოლებში მასწავლებელთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანისა და დათხოვნის საქმეში გამოწვეულია იმითაც, რომ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები სათანადო მუშაობას არ ატარებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1954 წლის 25 თებერვლის ინსტრუქციის „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალი სკოლების მასწავლებელთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანისა და დათხოვნის შესახებ“ შესასრულებლად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ახმეტის, თელავის, ჭიათურის, ზუგდიდის, ზესტაფონის რაიონებისა და ქ. ჭიათურის განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ორი თვის ვადაში სრულ წესრიგში მოიყვანონ ყველა სკოლის მასწავლებელთა პირადი საქმეები (პირადი ბარათი, განათლების ცენზის საბუთი, ავტობიოგრაფია, ფოტოსურათი, ბრძანების ამონაწერი დანიშვნის შესახებ, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ და სხვ.), უზრუნველყონ მათში ცვლილებების დროულად შეტანა. პირად საქმეებში დოკუმენტები დაალაგონ განათლების სამინისტროს 1954 წლის 25 თებერვლის ინსტრუქციის „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალი სკოლების მასწავლებელთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანისა და დათხოვნის შესახებ“ შესაბამისად;

ბ) აღკვეთონ განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე

V—X კლასების მასწავლებელთა სამუშაოდ გაგზავნა; არ დაუშვან სათანადო განათლების ცენზისა და პედაგოგიური სტაჟის არმქონე მასწავლებელთა დანიშვნა დაწყებით კლასებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მასწავლებლებისათვის მეთოდური დახმარებისა და მათ მუშაობაზე კონტროლის გაძლიერების მიზნით მიიღონ სათანადო ზომები, რომ მომავალი სასწავლო წლისათვის ყველა სკოლის დირექციის შემადგენლობაში მოხვდნენ სხვადასხვა სპეციალობის მქონე მუშაკები;

დ) მოქმედი ინსტრუქციის შესაბამისად, აღრიცხონ ის მასწავლებლები, რომლებიც დროებით არ მუშაობენ და ჩაატარონ მათთან სათანადო მუშაობა, უზრუნველყონ მათი სამუშაოზე მოწყობა აღრიცხვაზე აყვანის დროისა და ოჯახური პირობების გათვალისწინებით.

ე) დახმარება გაუწიონ სკოლებს შრომის წიგნაკებში შესწორებათა შეტანისათვის საჭირო დამატებითი მასალების მიღებაში, სისტემატური კონტროლი განახორციელონ შრომის წიგნაკებში სათანადო ცვლილებების დროულად შეტანისა და ამ დოკუმენტის წესიერად წარმოების უზრუნველსაყოფად;

ვ) სისტემატური მუშაობა აწარმოონ სამუალო სკოლაში მომუშავე უდიპლომო მასწავლებლების შესაცვლელად უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებულებით.

2. ახმეტის, თელავის, ჭიათურის, ზუგდიდის, და ზესტაფონის რაიონების, აგრეთვე ქ. ჭიათურის სამუალო და 7-წლიანი სკოლების დირექტორებმა:

ა) ორი თვის ვადაში სრულ წესრიგში მოიყვანონ (შეავსონ საჭირო დოკუმენტებით, განტვირთონ ზედმეტი მასალებისაგან) მასწავლებელთა პირადი საქმეები;

ბ) ამავე ვადაში შეიტანონ აუცილებელი შესწორებები არსებულ შრომის წიგნაკებში, შეადგინონ ისინი სკოლის ყველა მუშაკზე; შრომის წიგნაკები იქონიონ ცეცხლგამძლე კარადაში.

3. ახმეტის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ა. რეხვიაშვილმა გაატაროს კონკრეტული ღონისძიებანი კადრებთან მუშაობის დარგში არსებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ. ამასთან გაფრთხილებულ იქნეს ამხ. ა. რეხვიაშვილი, რომ განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე V—X კლასებში სამუშაოდ

მასწავლებლების კვლავ თვითნებურად დამვების შემთხვევაში მ. ს. დაედება მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. გაფრთხილებულ იქნენ ქ. ზესტაფონის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი მ. ჩიქოვანი, ჭიათურის რაიონის, ნიგოზეთის საშუალო სკოლის დირექტორი ა. ლომიძე, ქ. ჭიათურის რუსული საშუალო სკოლის დირექტორი ს. კორნიენკო, 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორი კ. სამყურაშვილი, ქ. ზუგდიდის მე-7 საშუალო სკოლის დირექტორი შ. ანთელავა, ახმეტის რაიონის ოქიოს საშუალო სკოლის დირექტორი ა. მანველიშვილი, ქისტაურის საშუალო სკოლის დირექტორი ს. ხოსიაშვილი და თელავის რაიონის წინანდლის საშუალო სკოლის დირექტორი ა. შიუკაშვილი, რომ, თუ ისინი უახლოეს ხანში არ მიიღებენ გადამჭრელ ზომებს მასწავლებელთა აღრიცხვის, და შრომის წიგნაკების წარმოების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ და არ უზრუნველყოფენ შემდგომში მასწავლებელთა პირად საქმეებსა და შრომის წიგნაკებში ცვლილებების დროულად შეტანას, დაედებათ მკაცრი სასჯელი.

5. სკოლების სამმართველომ (ამხ. მ. საყვარელიძემ), საფინანსო-საგეგმო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძემ) და კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძემ) მიმდინარე წლის აპრილში ერთდროულად შეამოწმონ ახმეტის რაიონის განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობა და შედეგები წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს კოლეგიას განსახილველად.

6. კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძემ) განახორციელოს მეთვალყურეობა ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 21 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის
მოადგილე **მ. ბურჭულაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 224

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი
1958 წლის 8 მარტი

ზესტაფონის რაიონის სკოლებში საყოველთაო სწავლების კანონის გატარების მდგომარეობის შესახებ

გავეცანი რა ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილების გამგის ანგარიშს ზესტაფონის რაიონის სკოლებში საყოველთაო სწავლების განხორციელების შესახებ, აღვნიშნავ, რომ წინა წლებთან შედარებით რაიონს გარკვეული წარმატებები აქვს მოპოვებული. ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილება საშეფო ორგანიზაციების დახმარებით ატარებს ღონისძიებებს სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის. მიმდინარე სასწავლო წელს სოფელ ალავერდისა და სოფელ კლდეეთის შვიდწლიან სკოლებს გადაეცათ ახალი კაპიტალური შენობები ათ-ათი ოთახით.

გასულ 1956-57 სასწავლო წელს სწავლებაში ჩაბმული იყო 961 მოსწავლით ნაკლები, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული ე. ი. გეგმა შესრულებული იქნა 91,4 პროცენტით. განათლების განყოფილებამ საფუძვლიანი ანალიზი გაუკეთა გეგმის შეუსრულებლობის მიზეზებს და გაატარა ღონისძიებანი ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. საკითხი „რაიონში საყოველთაო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ" ორჯერ იქნა განხილული ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომაზე. განათლების განყოფილება პერიოდულად ახდენდა საყოველთაო სწავლების კანონის გატარების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა ანალიზს სკოლის დირექტორებისა და გამგეების თათბირებზე. მდგომარეობის გამოსწორებისათვის სახავდა და ახორციელებდა სათანადო ღონისძიებებს. წელს სწავლებაში მოსწავლეთა ჩაბმის გეგმის შესრულებაში გასულ სას-

წავლო წელთან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. გეგმით მიმდინარე სასწავლო წელს სწავლებაში ჩაბმული უნდა ყოფილიყო 10727 მოსწავლე, ფაქტიურად 1957 წლის 5 სექტემბერს რაიონის სკოლებში სწავლობდა 10600 მოსწავლე, ე. ი. 127 მოსწავლით ნაკლები. სწავლებაში მოსწავლეთა ჩაბმის გეგმა შესრულებული იქნა 98,9 პროცენტით.

მიუხედავად ამისა, საყოველთაო სწავლების განხორციელების საქმეში ზესტაფონის რაიონის სკოლებს მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები აქვს.

1957 წლის 5 სექტემბრიდან სასწავლო წლის II მეოთხედის ბოლომდე რაიონის სკოლებიდან სხვადასხვა მიზეზით გავიდა 233 მოსწავლე. მათგან 37 მოსწავლე განთესილია. მარტო ქ. ზესტაფონის მე-4 სკოლიდან (დირექტორი ა. გაჩეჩილაძე) სკოლას ჩამორჩენოდა 5 მოსწავლე. სკოლებიდან წარმოდგენილი ცნობები ყოველთვის არ ასახავენ რეალურ მდგომარეობას. არის შემთხვევები, როდესაც სკოლა მალავს განთესილ მოსწავლეებს და განათლების განყოფილებაში წარდგენილ ფორმებში არ უჩვენებს მათ. მაგალითად, შორაპნის შვიდწლიანი სკოლა (დირექტორი გ. წერეთელი) განათლების განყოფილებაში გადმოგზავნილ ფორმებსა და მოხსენებით ბარათებში უჩვენებდა, რომ სკოლას განთესილი მოსწავლე არ ჰყავს, მაგრამ სკოლის შემოწმების დროს აღმოჩნდა არასაპატიო მიზეზით გასული 4 მოსწავლე. ანალოგიური მდგომარეობაა ქ. ზესტაფონის მე-4, კვალითის, არგვეთის საშუალო, ცხენთაროს და სანახშირის შვიდწლიან სკოლებში.

სკოლიდან მოსწავლეთა წასვლის მთავარ მიზეზს წარმოადგენს მეორეწლიანობა და აკადემიური ჩამორჩენილობა. მიმდინარე სასწავლო წელს რაიონის სკოლებში უნდა სწავლობდეს 1217 მეორეწლიანი მოსწავლე, ფაქტიურად სწავლობს 949, ე. ი. 268 მოსწავლით ნაკლები. ეს მოსწავლეები გადასული არიან სხვა სკოლებში და განთესვის კანდიდატებია. მაგალითად, ქ. ზესტაოფნის მე-2 საშუალო სკოლიდან წასულია 18 მეორეწლიანი მოსწავლე, მე-3 საშუალო სკოლიდან—16, საზანოს საშუალო სკოლიდან—19, ზედა საქარის შვიდწლიანი სკოლიდან—13. სკოლები სუსტად მუშაობენ მეორეწლიან მოსწავლეებთან. 949 მეორეწლიანი მოსწავლიდან მეორე მეოთხედის ბოლოს ვერ ასწრებდა 222. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა დილიკაურისა და არგვეთის საშუალო სკოლებში.

სულ რაიონის სკოლებში მეორე მეოთხედის ბოლოს შეფასებულია 10348 მოსწავლე, აქედან ასწრებს 8059 (77,8%), ვერ ასწრებს 2291 მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. მ. სარალიძე).

ა) „საქართველოს სს რესპუბლიკაში სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 7 ივნისის № 342 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად უზრუნველჰყოს სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვა და სწავლებაში ჩაბმა;

ბ) მიიღოს ყველა ზომა რაიონის სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად;

გ) გულდასმით შეამოწმოს სკოლების დირექტორების მიერ წარმოდგენილი ცნობები მოსწავლეთა კონტინგენტისა და სწავლებაში ჩაუბმელი ბავშვებისა და მოზარდების შესახებ, სასჯელი დაადოს იმ დირექტორებს, რომლებიც არასწორ ცნობებს წარმოადგენენ.

2. სკოლების დირექტორებმა:

ა) არსებითად გააუმჯობესონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, მიაღწიონ სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებას, მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სწავლაში ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან მუშაობის მოწესრიგების საქმეს;

ბ) ქ. ზესტაფონის მე-4, კვალითის, ძირულის, ბოსლევის, დილიკაურის, არგვეთის საშუალო სკოლების დირექტორებმა და ბოსლევის დაწყებითი სკოლის გამგემ უზრუნველჰყონ სკოლის გარეთ დარჩენილ და განთესილ ბავშვთა და მოზარდთა სწავლებაში ჩაბმა.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

მ. ბურჭულაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 144—საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სპორტსკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საქმის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ 3
2. ბრძანება № 151/69—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტულ სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის მდგომარეობის შესახებ. 11
3. ბრძანება № 176—საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების მდგომარეობის შესახებ. 22
4. ბრძანება № 178—სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეთა შრომითი აღზრდის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ 33
5. ბრძანება № 190—მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებათა 1957 წლის შედეგებისა და 1958 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ 42
6. ბრძანება № 207—საქართველოს სსრ დაწყებითს, შვიდწლიანსა და საშუალო სკოლებში საგაზაფხულო არდადეგების ჩატარების შესახებ . 54
7. ბრძანება № 222—ახმეტის, თელავის, ჭიათურის, ზუგდიდის, ზესტაფონის რაიონულ, ჭიათურის საქალაქო განათლების განყოფილებებსა და სკოლებში მასწავლებელთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანისა და დათხოვნის საქმის შემოწმების შედეგების შესახებ 56
8. ბრძანება № 224—ზესტაფონის რაიონის სკოლებში საყოველთაო სწავლების კანონის გატარების მდგომარეობის შესახებ 62

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რედაქტორი მ. ბურჭულაძე
კორექტორი ე. აღლაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/V-58 წ., ანაწყობის ზომა 6×9½, ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4,25,

შეკ. № 630 ტირაჟი 5000

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

Типография № 2 Главного управления издательств и полиграфической промышленности Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.

ᲣᲪᲮᲘᲚᲘ.

58 - 287

ეროვნული
ბიბლიოთეკა